# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 23 აგვისტო 2003 №158 (1929) | ფასი 50 თეთრი


## ლოკომოტივი • დინამო




ბადრი კეთილაძის ფოტო

## შუშაკს ძალიან სჭირდება ის, რაც არველაძეს ძალიან უნდა

იხილეთ მესამე გვერდი

# პარიზული მძლეოსნობა არც ისე მძლეა




## ნიუ იორკი US OPEN 2003

## დარჩა ერთი შავდა, მეორე და დაშავდა





სერენას ფეხებმა სერენას სიმძიმეს ველარ გაუძლეს

# ორთავია არწივს სამ თავს ადგამენ



## კოლოსკოვის კოლხოზი: სიომინი, ბოროდიუკი, ჩერნიშოვი

უმწვრთნელოდ დარჩენილი რუსეთის ნაკრების ახალი პატრონი ორშაბათს გამოცხადდება, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი. არც ისაა გამორიცხული, გაზაევის წახდენილი საქმის გამოსწორება ერთბაშად სამ მწვრთნელს დაევალოს.

გუშინ ჩვენმა რუსმა კოლეგებმა საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს. ისინი ვარაუდობენ, რომ კოლოსკოვი ნაკრებს ტრიუმვირატს, სიომინ-ბოროდიუკ-ჩერნიშოვს ჩააბარებს.

იური სიომინი იმ მოსკოვის „ლოკომოტივის" მწვრთნელია, რომლის ფეხბურთელებიც ნაკრებში მრავლად თამაშობენ; ალექსანდრ ბოროდიუკი გაზაევის თანაშემწე იყო, ამჟამინდელი გუნდის სამზარეულოში კარგად ჩახედულია; ანდრეი ჩერნიშოვი კი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცია — ასეთი მარტივი არგუმენტებით ამყარებენ თავიანთ ვარაუდს რუსი ჟურნალისტები.

სხვა კანდიდატებზე რუსეთში ჯერ არ ლაპარაკობენ, არ უცხოელ მწვრთნელს ახსენებენ ისე ხშირად, როგორც ამას ევროშესარჩევი ციკლის წინ გაზაევის დანიშვნამდე აკეთებდნენ. ჩანს, რუსეთშიც იგივე მოხდება, რაც საქართველოში, ოღონდ, კოლოსკოვი არა გვგონია იმ ჭკუაზე იყოს, ნაკრები თავად გაწვრთნას. მოსალოდნელი ისაა, რომ რუსები ნაკრებს დროებით მწვრთნელს ჩააბარებენ. ახალი შესარჩევი ციკლს კი სხვა დაიწყებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ საბჭოთა კავშირში ყოფილა შემთხვევა, როცა ნაკრები სამი მწვრთნელისთვის მიუნდვიათ. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოელები ნოდარ ახალკაცმა, ვალერი ლობანოვსკიმ და კონსტანტინ ბესკოვმა ათამაშეს, ის გუნდი მაშინ ჩაფლავდა, არადა, კარგ შედეგს უწინასწარმეტყველებდნენ.

**კობა ინასარიძე**

> **საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებთ „თბილისის" ფეხბურთელ თორნიკე აფციაურს ძმის მამუკა აფციაურის გარდაცვალების გამო**

### გერმანია

**II ბუნდესლიგა. IV ტური**

ტრირი 1:1 დუისბურგი
რეგენსბურგი 0:4 ლიუბეკი
ალენი 1:2 კარლსრუე

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა IV ტური**

პადერბორნი 1:1 ვერდერი (მ)

**სამხრეთ რეგიონალლიგა IV ტური**

ჰოფენჰაიმი 2:2 ფიურტი
აალენი 1:6 ბაიერნი (მ)

### ინგლისი

**III დივიზიონი. III ტური**

ნორთჰემპტონი 1:0 დარლინგტონი
სუონსი 3:0 ბოსტონი

### შვეიცარია

**სუპერლიგა. VII ტური**

სენტ გალენი 1:2 გრასჰოპერი
იანგ ბოისი 2:1 თუნი

**ჩელენჯლიგა. VI ტური**

ლუცერნი 3:1 ბელინცონა
შო დე ფონი 1:2 ბულე
ანიო 2:1 კონკორდია
ვინტერთური 2:2 დელემონი
ივერდონი 4:2 კრინსი
ვოლენი 1:1 მეირინი
ბადენი 0:1 შაფჰაუზენი

### საფრანგეთი

**II დივიზიონი. V ტური**

ლე ავრი 3:0 სედანი

### პორტუგალია

**სუპერლიგა. II ტური**

ალვერკა 0:1 მარიტიმუ

### ირლანდია

**პრემიერლიგა. XVIII ტური**

უოტერფორდი 1:1 დერი სიტი
ბოჰემიანსი 1:2 სენტ პატრიკსი
დუბლინი 0:3 ლონგფორდ თაუნი
კორკ სიტი 4:0 დროჰედა

### ბელგია

**იუპილერლიგა. III ტური**

ჰეუსდენი 0:0 ანტვერპენი

### ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა. V ტური**

სიგმა 1:1 სპარტა

### ჰოლანდია

**I დივიზიონი. II ტური**

ალკმაარი 3:0 ტვენტე

**II დივიზიონი. II ტური**

ვეენდამი 0:3 ჰელმონდი
ოსი 3:0 ტელსტარი
დენ ბოსხი 2:0 სპარტა
გრააფსხაპი 1:1 სიტარდი
ჰერაკლესი 2:4 აპელდორნი
ეინდჰოვენი 1:1 ემენი
ექსელსიორი 0:1 ვენლო
კამბური 0:4 იგლსი
მაასტრიხტი 1:1 ჰაარლემი

### ავსტრია

**I დივიზიონი. VII ტური**

ბად ბლაიბერგი 3:4 აუსტრია (ლ)
კაპფენბერგი 2:1 ვიორგლი
ლინცერი 1:1 რიდი
ტიროლი 1:0 უნტერზიბენბრიუნი

### პოლონეთი

**I ლიგა. III ტური**

ვისლა 2:0 გურნიკი

### ამხანაგური მატჩი

ბარსელონა (ესპანეთი) 1:1 (5:3პ) ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

---

**საქართველოს უმაღლესი ლიგის 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი**

**5 ტური**

# მცხეთა გააპუხოვეს

## სიონს ბევრ გოლში ბევრ ფულს შეჰპირდნენ

„ლოკომოტივი" — „დინამო" ტურის ცენტრალური დაპირისპირებაა, მაგრამ ინტერესს სხვა მატჩებიც იწვევს. ამათგან გამორჩეული კი „სიონი" — „მცხეთაა".

სატურნირო ცხრილიდან ისე ჩანს, რომ ლიდერი უახლოეს მდევარს ეთამაშება. ეს „მდევარი" ბოლო დროს ისე ყოჩაღობს, რომ ბოლნისში წინასწარ განწირულად ვერავინ ჩათვლის. „მცხეთამ" წინა ტურებში უკვე მოასწრო ორი სახელოვანი გამარჯვების მოპოვება „ლოკომოტივთან" და „თბილისთან". ჯერჯერობით ჩემპიონატის სიურპრიზი სწორედ ვლადიმერ პანოვის გუნდია და რაღა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში დებიუტანტი საომრად ჩავა ბოლნისში. მაგრამ „სიონისკენაც" გავიხედოთ. ქვემოქართლელები კბილთაღრჭიალით დახვდებიან მეტოქეს. მოტივაციაც დიდი აქვთ. უმთავრესი, რაღა თქმა უნდა, სატურნიროა, მაგრამ ფინანსურსაც ვერ ავუვლით გვერდს. „სიონი" მარიამობას „პუხოვს" ელის და სლოვაკური 0:3-ის ამოქაჩვა აქვს გადაწყვეტილი. „მცხეთასთან" შეხვედრა გენერალურ რეპეტიციად დასახეს ბოლნისელებმა. თუკი იმ ანგარიშით მოიგებთ, რაც „პუხოვთან" გჭირდებათ, ორმაგ პრემიას მიიღებთ — ასეთია კლუბის ხელმძღვანელთა წინადადება და რაღა გასაკვირია, რომ დამატებითი სტიმული გაუჩნდათ ჟინიან სიონელებს. მოკლედ, ქვემოქართლელები დღეს მეტოქის ჩასაყლაპად გაიწევენ და ვნახოთ, რა გამოუვათ.

დაჭრილი „ბათუმი" ოზურგეთში ჩადის და შეეცდება, ნავსი გატეხოს. ოთხი ტური მიილია და ზღვისპირელები ჯერაც უქულონი არიან. „მერცხალი" დებიუტანტი კია, მაგრამ თუ მოინდომა, ბევრს გაეჩხირება ყელში. გურულებს დღეს შემტევი დავით ხუჭუა არ ეყოლებათ. ეს ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულია და სერგო გაბელაიას ტაქტიკაში გვარიანი მეცადინეობა მოუწევს. ოზურგეთელი ქომაგი ფიცხი და ამბიციურია, ტრიბუნებზე ქვებიც იშოვება და თუკი საქმე არ წაუვიდათ მსაჯებს და „მერცხლებს", ეგებ ისევ განმეორდეს ქვათაყრა, ამიტომ სიფრთხილე და ყურადღება მართებთ მატჩის ორგანიზატორებს.

წინა ტურში ქუთაისში დამარცხებული „კოლხეთი" კინკილაქულიანი „სპარტაკის" ჩაყლაპვას შეეცდება. „სპარტაკმა" ულიმღამოდ ითამაშა ბოლოს „სიონთან" და თუკი ასეთივე მარაგით აპირებს ფოთში ჩასვლას, სახეიროს ვერაფერს ნახავს. არადა, დებიუტანტებს მოძრავი, ახალგაზრდა ბიჭები ჰყავთ, თუმც გამოუცდელი და სწორედ ეს გამოუცდელობაა იმის მიზეზი, ჯერაც რომ უგოლოა ვასილ ჭეიშვილის გუნდი.

„ლანსის" მომლოდინე „ტორპედო" კვირას „ვიტ ჯორჯიასთან" იბურთავებს. ამ ორის დაპირისპირება ყოველთვის დაძაბული იყო. წინა სეზონში ქუთაისელებმა სწორედ ვიტელთა სტუმრად ძლევით გაინაღდეს ვიცე-ჩემპიონობა, თუმც ხვალ „ტორპედოს" ძალიან გაუჭირდება მოგება. „ვიტ ჯორჯია" თითოეულ სათამაშო რგოლში დაბალანსებულ-შემართულია და, თქმა არ უნდა, „დინამოსთან" ქულის ამღები გუნდი ხვალ მოსაგებად გაიწევს რიონისპირელებთან.

ტური, ტრადიციულად, ორშაბათს დასრულდება. „თბილისმა" თუ „დილას" დამარცხება ვერ შეძლო, საკადრო წმენდას ვერ ასცდება.

**ბაატა ძგანტალიანი**



თემურ მახარაძე „პუხოვზე" „მცხეთასთან" მატჩისასაც იფიქრებს

**თბილისი. 23 აგვისტო. 20 საათი. ლოკომოტივი**

### ლოკომოტივი — დინამო

მსაჯები: მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: ნ. ლორთქიფანიძე

**ფოთი. 23 აგვისტო. 18 საათი. ფაზისი**

### კოლხეთი — სპარტაკი

მსაჯები: ჟ. ბუიშვილი (ჭიათურა); კ. თბილელი, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: გ. სორდია

**ოზურგეთი. 23 აგვისტო. 18 საათი. ცენტრალური**

### მერცხალი — ბათუმი

მსაჯები: დ. ხანაია (სოხუმი); კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; ბ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი; დირექტორი: ვ. ქორიძე

**ბოლნისი. 23 აგვისტო. 18 საათი. თემურ სტეფანია**

### სიონი — მცხეთა

მსაჯები: კ. მეხხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი

**თბილისი. 24 აგვისტო. 18 საათი. შევარდენი**

### ვიტ ჯორჯია — ტორპედო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი; მ. მალალურაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხიმაგაშვილი; დირექტორი: ა. ბურჯალიანი

**თბილისი. 25 აგვისტო. 18. საათი. შევარდენი**

### თბილისი — დილა

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე; დირექტორი: შ. ბაქრაძე

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 5 - ახალაია | დინამო |
| 3 - გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| დავითაშვილი | თბილისი |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 |
| 2 | დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 10:2 | 8 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:0 | 9 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 6 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 |
| 4 | დილა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 5 | ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 6 | კოლხეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 7 | ტორპედო | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 8 | მცხეთა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:11 | -5 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:8 | -7 | 1 |
| 9 | თბილისი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 3 | 1 | 0 | 3 | 6:5 | 1 | 3 |
| 10 | მერცხალი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 11 | სპარტაკი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:10 | -10 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | -6 | 1 |
| 12 | ბათუმი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | -7 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |

# ლოკომოტივი vs დინამო



*აქეთ რევაზ არველაძის „ლოკომოტივი" — იმ მწვრთნელისა, რომელიც „დინამოს" შარშანწინ ჩამოაშორეს, იქით კი ივო შუშაკის „დინამო", რომელიც ბოლო ორ მატჩში ოდენ ქულას გამორჩა. მოკლედ, ტურის მთავარი მატჩი „ლოკომოტივზეა". ეს არ უნდა იყოს უბრალო თამაში — არველაძე ერთია, მაგრამ „ლოკომოტივში" „დინამოდან" გამოშვებული სხვაცაა — არველაძის თანაშემწეები და ფეხბურთელებიც. შუშაკს კი თავისი ძალა აქვს დასამტკიცებელი ზედიზედ ორი ვერმოგებული მატჩის შემდეგ.*

*ერთი სიტყვით, შეხლა ნამდვილი უნდა გამოვიდეს...*



## რევაზ არველაძე: დინამო გამოცდაა, ფეხბურთი ჭკვიანების თამაში

**— ეს მატჩი „ლოკომოტივისთვის" განსაკუთრებულია...**

— „დინამო" საქართველოში ყველაზე ძლიერი გუნდია. „ლოკომოტივის" ფეხბურთელებისთვის ეს დამატებითი მოტივაციაა.

**— ეს შეხვედრა პირადად თქვენთვისაც ერთობ მოტივირებულია?**

— პროფესიული თვალსაზრისით ეს ერთობ მნიშვნელოვანი თამაშია ჩემთვის. ამ შეხვედრაში „ლოკომოტივის" ხარვეზები კარგად გამოჩნდება, რადგან ძლიერი მეტოქე გვყავს. უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლები წუნი იყოს ჩვენს თამაშში.

**— რას შესთავაზებს „ლოკომოტივი" „დინამოს" — შემტევ ფეხბურთს თუ სიფრთხილეს ამჯობინებთ?**

— თავქუდმოგლეჯილნი წინ რომ გავიქცეთ, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ და ალბათ ასევე იქნება „დინამოც". ვფიქრობ, თამაში ფრთხილად დაიწყება, ორივე გუნდი იმას შეეცდება, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაუშვას. ფიზიკური მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ბევრი მოძრაობა სწორი თამაში სულაც არაა, სწორი თამაში სწორი მოძრაობაა — ფეხბურთი ჭკვიანების თამაშია და ჩვენ რაციონალურობას შევეცდებით.

**— შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— შანსები დაახლოებით თანაბარია.

**— „ლოკომოტივს" მეტოქეზე არანაირი უპირატესობა არ აქვს და არც პირიქით?**

— თუ ვინმეს აქვს იმის პრეტენზია, რომ ის კარგი ფეხბურთელია და რომ ის ნაკრების ფეხბურთელია, „დინამოს" წინააღმდეგ თამაში ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, თავი წარმოაჩინოს.



## ივო შუშაკი: შეუზღუდავი დინამო შეზღუდული მიზნით: მხოლოდ მოგება!

„ლოკომოტივის" ადრინდელი შემადგენლობა ახლა თითქმის 70 პროცენტით შეიცვალა. ეს იმის მაუწყებელია, რომ ახალი ფეხბურთელები თავიანთი შესაძლებლობების დამტკიცებას და სრულად გამოვლენას შეეცდებიან, მაგრამ არც „დინამოს" აქვს ნაკლები ამბიციები.

**— თქვენი გუნდის ბოლო თამაშებზე რას იტყოდით?**

— „დინამომ" ბოლო ორი თამაში ვერ მოიგო, მაგრამ ვფიქრობ, „ვიტ ჯორჯიასთან" ალმავლობით ვითამაშეთ და არ გაგვიმართლა. ახლა იმედია, იღბალი ზურგს აღარ შეგვაქცევს.

**— „დინამომ" ბოლო ორი მატჩი რომ ვერ მოიგო, ამის გამო „ლოკომოტივთან" მატჩის წინ თქვენ და თქვენი ფეხბურთელები განსაკუთრებული ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ხომ არ ხართ?**

— „ლოკომოტივთან" მატჩისთვის მხოლოდ და მხოლოდ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი და არც საჭირო თავდაჯერებულობა გვაკლია.

**— „ლოკომოტივთან" დაცვით ტაქტიკას აირჩევთ თუ შემტევს?**

— ამ სეზონში, ეს ჩვენთვის მესამე დერბია „ტორპედოს" და „ვიტ ჯორჯიას" შემდეგ. ასეთ მატჩებში კი შეუძლებელია შეიზღუდო და მხოლოდ ერთი ქულის მოპოვებაზე იფიქრო. ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება მეტი გამოვწუროთ ამ დერბის. ასეთ შეხვედრებში ერთობ მნიშვნელოვანია პირველი გოლის ფაქტორი. თუმც ეს ამას არ ნიშნავს, რომ თუ მატჩი ჩვენთვის წარუმატებლად დაიწყება, დავნებდებით. ვიმედოვნებ, „დინამო" მატჩს ალმავლობით ჩაატარებს.



გიორგი მიქაძე

**დავით ქოქიაშვილი:** ამ თამაშს უეჭველად მოვიგებთ. კარგი შემადგენლობა გვყავს და კარგადაც ვართ მომზადებულნი. რალა უნდა მოხდეს ისეთი, ეს მატჩი რომ ვერ მოვიგოთ?! რა თქმა უნდა, „დინამო" კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ გამარჯვების უკეთესი შანსი გვაქვს.

**გიორგი მიქაძე:** საინტერესო თამაში იქნება, ძალიან გამიხარდება, თუ მოვიგებთ. ცხადია, ვეცდები გოლი გავიტანო. ჩვენი უპირატესობა ალბათ ისაა, რომ საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ. სასიამოვნო იქნება ძველი მეგობრების ნახვა, თუნდაც მეტოქეებად. ვფიქრობ, ის გუნდი მოიგებს, რომელიც პირველი გაიტანს გოლს.



ლადო ბურდული

**ალეკო გოგობერიშვილი:** ძალიან მძიმე, პრინციპული მატჩი გველის. ჩვენ ახლა ერთი-ორად გვჭირდება გამარჯვება, რათა ფსიქოლოგიურად კარგად ვიგრძნოთ თავი. ჰოდა, შევეცდებით მოვიგოთ. ისე კი, ვფიქრობ შანსები 50/50-ზეა, რადგან „ლოკომოტივი" ძალიან კარგი გუნდია.

**ლადო ბურდული:** დაძაბული თამაში იქნება და ჩვენს შორის ვინც მოიგებს, ალბათ ჩემპიონატის ლიდერიც ის გახდება. მოკლედ, რთული მატჩი უნდა იყოს. ჩემი აზრით, შანსები თანაბარია. „ლოკომოტივმა" სეზონი ცუდად დაიწყო, მაგრამ მერე ეს გუნდი, ასე ვთქვათ, აეწყო. ის, რომ გასვლაზე ვითამაშებთ, ვფიქრობ, დიდ როლს არ თამაშობს. კარგია, თამაში საღამოს რვა საათზე რომ გადაიტანეს — ნაკლები სიცხე იქნება და ფეხბურთელებსაც გაუადვილდებათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა.

**ლევან მელქაძე:** „ლოკომოტივი" ნორმალური გუნდია და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. ძალიან დაძაბული მატჩი გველის. ცალსახად ვერ ვიტყვი, რომ „დინამოს" ექნება უპირატესობა. ბოლო თამაშებმა დაგვანახა, რომ არ არ შეიძლება ითქვას, რომელიმე გუნდთან უპირატესობა გვაქვსო. „ლოკომოტივში" „დინამოდან" წასული რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს, რომლებიც ალბათ განსაკუთრებული მონდომებით ითამაშებენ, რათა აჩვენონ, რომ „დინამოდან" ტყუილუბრალოდ გაუშვეს. „ლოკომოტივს" საკმაოდ მობილური დაცვაც ჰყავს.

**დავით თამართჭილაძე**

# ორი ჯობია ერთს?

## ჩხარტიშვილი ბალაძით გაამაგრეს

*საქართველოს ჩემპიონატის წინ „ბათუმმა“ მწვრთნელი გამოიცვალა. გუნდში ასლან ბალაძის მაგივრად მრავლისმნახველი ვალერიან ჩხარტიშვილი მივიდა. უკეთესობისკენ უნდა შეცვლილიყო გუნდის თამაშიც, ბოლო ხანს ჩრდილში მყოფი „ბათუმისკენ“ ქომაგმა იმედის თვალით გაიხედა, თუმც კი პირიქით მოხდა: მუდამ ამბიციური, ჩვენი ფეხბურთისთვის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდის საქმეები უკუღმა წავიდა. ოთხი მატჩი, ოთხი წაგება, შესაბამისად, არც ერთი ქულა და ცხრილში ბოლო ადგილი. სულ ორი გატანილი გოლი ჩემპიონატის სტარტზე, აი, ბათუმელთა შედეგი, თუმც რაღა შედეგი...*

*წინა შაბათს „ბათუმი“ „ლოკომოტივმა“ ჩაყლაპა, სტუმრად სამი გოლი გაუტანა. ბათუმელები შეშფოთდნენ. ჩემპიონატი ასე ცუდად გუნდს არასოდეს დაუწყია. იფიქრეს ბათუმელთა ხელმძღვანელებმა, იფიქრეს და დროებით გამოსავალიც ნახეს, ვალერიან ჩხარტიშვილს ასლან ბალაძე შეუწყვილეს, რომელიც ივნისს აქეთ გუნდის უფროსად მუშაობდა. ეს კვირა „ბათუმმა“ ორი მწვრთნელის ხელში გალია, ორჯერადი ვარჯიშებითა და ფსიქოლოგიური გაკვეთილებით. შედეგი დღეს უნდა გამოჩნდეს, „ბათუმი“ ოზურგეთს სტუმრობს.*

— კლუბის ხელმძღვანელებმა „ლოკომოტივთან“ წაგებული თამაშის მერე მთხოვეს, დროებით დავბრუნებოდი საწვრთნელ პროცესს. ახლა მე და ვალერიან ჩხარტიშვილი ერთად ვამზადებთ გუნდს — გვითხრა ასლან ბალაძემ, რომელსაც ბათუმში დავუკავშირდით — არ გვახსოვს, „ბათუმს“ ჩემპიონატი ასე ცუდად დაეწყო. ცხადია, წაგვიგია, მაგრამ ზედიზედ ოთხჯერ, თანაც ჩემპიონატის დასაწყისში? ცუდად გვაქვს საქმე, მაგრამ „ბათუმს“ ხელის ჩაქნევა არ სჩვევია, ცოტა ხანში თამაშსაც გამოვასწორებ და შედეგსაც.

**— მაინც რისი ბრალია ასეთი უფერული სტარტი?**

— რა თქმა უნდა, მოუმზადებლობის. სეზონის დაწყებამდე მოსამზადებელ პერიოდში რაც ჩაფიქრებული გვქონდა, ვერ გავაკეთეთ. ალბათ ბიჭებიც ზედმეტად თავდაჯერებულად მიუდგნენ საქმეს და კიდევ, ცუდი თამაშის ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზიც — კალენდარი. აბა, ნახეთ „ბათუმს“ საწყის ოთხ ტურში რომელ გუნდებთან მოუწია თამაშმა — „ტორპედო“, „კოლხეთი“, „ვიტ ჯორჯია“, „ლოკომოტივი“, ეს გუნდები ჩემპიონატის ფავორიტები არიან და ძნელია მათთან ბრძოლა, მით უმეტეს, ვიმეორებ, ჩვენნაირი მოუმზადებელი გუნდისთვის.

**— ასე თუ გააგრძელეთ, გავარდნის უპირველეს კანდიდატად ჩაითვლებით.**



— უმაღლესი ლიგიდან „ბათუმის“ გავარდნა გამორიცხულია. გუნდში კარგი პირობებია, გინდ ფინანსური, გინდ სავარჯიშო. ვცდილობთ, სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას და გარწმუნებთ, ეს კრიზისი დროებითია. მალე „ბათუმი“ ათამაშდება. არაფერი დაგვიკარგავს, ცხრილში შვიდ გუნდს შვიდ-შვიდი ქულა აქვს, ჩემპიონატი ახლახან დაიწყო და მთელი ბრძოლები წინაა. ამ კვირაში გუნდის ფორსირებული მზადება დავიწყეთ, ფეხბურთელებს დატვირთვები მოვუმატეთ, დღეში ორჯერ ვავარჯიშებთ და უკვე ვატყობ, ამ მეთოდმა თავისებური შედეგი გამოიღო, ბიჭები უკეთ გამოიყურებიან.

**— კი მაგრამ, ჩემპიონატის მიმდინარეობისას ფეხბურთელებისათვის დატვირთვის გაზრდა მათთვის მავნებელი არ იქნება?**

— არა, არც ისეთი დატვირთვებია, ფეხბურთელი გადაიწვას. „ლოკომოტივთან“ მატჩის შემდეგ სამი დღე ჩვეულებრივზე მეტად ივარჯიშა გუნდმა, ხუთშაბათსა და პარასკევს კი დატვირთვამ იკლო. მოკლედ, „მერცხალთან“ სათამაშოდ მზად ვართ. ახლა ხუთდღიანი შუალედი გვქონდა და ეს დრო, ვფიქრობ, ნაყოფიერად გამოვიყენეთ. „მერცხალთან“ მატჩიდან შემდეგ თამაშამდე ერთი კვირა გვაქვს, მერე კი ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზაა. ეს პერიოდი სარგებელს მოგვიტანს. რა თქმა უნდა, ფორსირებულ მზადებას რისკიც ახლავს, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს. „ბათუმს“ შარშანაც ჰქონდა რთული პერიოდი, მაგრამ მდგომარეობიდან მალე გამოვედით. დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება.

**— ასეთი ცუდი შედეგი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურად ხომ უარყოფითად მოქმედებს?**

— ამ ბიჭების უმეტესობა ჩემს ხელშია გაზრდილი, კარგად ვიცი მათი ხასიათი, როდის როგორ განწყობაზე არიან. გუშინ ყველა ფეხბურთელს სათითაოდ ველაპარაკე, დავამშვიდე ისინი, ავუხსენი, რომ მთელი სეზონი წინ გვაქვს. ახლა ფეხბურთელები მზად არიან, გაორმაგებული ენერგიით ითამაშონ.

**— გაძლიერებას, ახალი ფეხბურთელების დამატებას არ აპირებთ? თუ პირველი ეტაპის დამთავრებამდე უნდა მოიცადოთ?**

— ზამთრამდე ახლებს ვერ დავიმატებთ, თუმც უახლოეს მატჩებში ორ ფეხბურთელს, „ლოკომოტივის“ ყოფილ თავდამსხმელ სირბილაძესა და გამოჯანმრთელებულ ირაკლი შენგელიას ვათამაშებთ. ეს ფეხბურთელი ჩვენთვის დიდი ძალაა.

**— ტაქტიკური მონახაზის შეცვლას არ აპირებთ?**

— ვაპირებთ. სათამაშო რგოლები და მთლიანად შემადგენლობაც გადახალისდება. ჩვენი ცუდი შედეგის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი მოგვიანებით შემოგვიერთდა და დანარჩენებთან შესათამაშებლად დრო არ ჰქონდათ. მაგალითად, მცველები — ბეგლარ თედორაძე და გეგეშიძე გუნდში ზედ სეზონის დაწყების წინ მოვიდნენ და დანარჩენებთან შეთამაშება ვერ მოასწრეს. ახლა რგოლებს, ცალკეულ ფეხბურთელებს შორის მეტი ურთიერთგაგებაა, ცოტაც და გუნდი შეთამაშდება, ეს კი „ბათუმს“ საკადრისად აათამაშებს.

**— მოკლედ, ოზურგეთში მოსაგებად მიდიხართ და მერე საერთო ვითარებაც გამოსწორდება...**

— დიახ, ასე იქნება, ჩვენ ყოველთვის ოპტიმისტურად ვართ-განწყობილნი. ახლა მით უმეტეს, რადგანაც ამის საფუძველი გვაქვს.

**ქობა ინასარიძე**

# ცხრა ქართველი ცხრა მთას იქით

## ევროპელი ყაზახები პორტუგალიას ეტოლებიან

ძველი თაობის გულშემატკივრებს ყაზახურ ფეხბურთზე წარმოდგენა ნამდვილად ექნებათ, სსრკ-ს ჩემპიონატების უმაღლეს ლიგაში ალმა-ათის „ქაირათიც“ თამაშობდა და თბილისის „დინამოს“ ბევრჯერ გადაყრია.

ახლანდელზე კი რა მოგახსენოთ, დაიშალა სსრკ და დამოუკიდებელი ყაზახეთის საფეხბურთო კავშირი აზიის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციაში გაერთიანდა.

მერე და მერე, ყაზახებმა ევროპელობა მოისურვეს, უეფას კარსაც არაერთხელ მიუკაკუნეს, მიგვიღეთ თქვენს სრულუფლებიან წევრადო. რამდენიმეწლიანი „ჩალიჩის“ შემდეგ, უეფამ ყაზახებს მწვანე შუქი აუნთო, 52-ე ქვეყნად თავის ფრთებქვეშ შეიფარა.

გაევროპელებულმა ყაზახებმა წლეულს ევროთასებიც დააჭაშნიკეს, ერთბაშად ოთხმა გუნდმა — „ტობოლი“ (ინტერტოტო), „ჟენისი“ (ჩემპიონთა ლიგა), „ატირაუ“ (უეფას თასი) და „ირტიში“ (უეფას თასი) — ევროპული ფეხბურთის სიძლიერე და გამოცდილება საკუთარ თავზე გამოსცადა.



ელდარ გვასალია

ყაზახეთის ეროვნულმა გუნდმა კი ოთხშაბათს პორტუგალიასთან ითამაშა ამხანაგურად, რუი კოშტას, ფიგუს, კრისტიანო რონალდოს, პაულეტას და კომპანიას ყაზახები გმირულად ებრძოდნენ და საპატიო 0:1-ით დამარცხდნენ.

რისთვის დაგვჭირდა ამხელა შესავალი ყაზახურ ფეხბურთზე? უბრალო მიზეზის გამო, ამ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის 17-გუნდიან სუპერლიგაში ერთბაშად 9 ქართველი ფეხბურთელით თამაშობს: დავით ჯანაშია, კახა გოგოლაძე, ბაჩვა ამბიძე, პაატა გამცემლიძე, გელა ქორიძე, ელდარ გვასალია, დავით ჩოხელი, ლევან ბაჯელიძე და სანდრო ბურნაძე.

რამ წაიყვანა ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელები შორეულ ყაზახეთში? ალბათ, უფრო ფინანსურმა დაინტერესებამ. ამ შუაზიური ქვეყნის ჩემპიონატში, დიდძალი ფული ტრიალებს, ყაზახეთშიც საფეხბურთო ბუმი ყოფილა. მატჩებს სულ ცოტა, 8-9 ათასი მაყურებელი ესწრება, ლიდერების — „ჟენისისა“ და „ირტიშის“ მატჩს სულაც 20 ათასი ქომაგი ადევნებდა თვალყურს.

ყაზახური სუპერლიგა ლეგიონერთა სიმრავლითაც გამოირჩევაო — გვითხრეს კოკშეტაუს „ესილში“ მოთამაშე ქართველებმა. ჩვენებურთა გარდა იქ რუსები, უკრაინელები, მოლდოველები, უზბეკები, ტაჯიკები, სლოვაკები, სომხები და თქვენ წარმოიდგინეთ, ბრაზილიელებიც კი ბურთაობენ.

ზემოხსენებულ „ესილში“, რომელიც, სხვათა შორის, სუპერლიგის უპირობო აუტსაიდერია, ეროვნებით ყაზახი სულ ორი მოთამაშეა, დანარჩენები კი ლეგიონერები არიან.

რადგან „ესილზე“ ვსაუბრობთ, გეტყვით, რომ ამ გუნდის პრეზიდენტი ტომით ქართველი გრიგოლ ლორიაა, გუნდის კარს კი მისი ვაჟი, ერთი ხანობა ყაზახეთის ეროვნული გუნდის მეკარე დავით ლორია იცავს.

„ესილში“ სამი ქართველია — გელა ქორიძე, დავით ჩოხელი და ელდარ გვასალია. პირველ ორს კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონის ბოლომდე (2 ნოემბერს მთავრდება) გაუფორმა კონტრაქტები და მათ უკვე ორჯერ ითამაშეს, გვასალია კი ბოლნისური „სიონისგან“ სატრანსფერო ფურცელს ელის. ეს უკანასკნელი მწვრთნელ ვლადიმირ დერგაჩს ვარჯიშებზე ძალიან მოსწონებია. სწორედ შენნაირი თავდამსხმელი მჭირდებოდაო. დერგაჩმა ამპლუა შეუცვალა გელა ქორიძეს. „ტუხა“ ახლა „ესილის“ ლიბეროა, ქართულ გუნდებში კი ეს ფეხბურთელი ნახევარმცველის ფუნქციებს ითავსებდა. დავით ჩოხელს კი მწვრთნელი ხან მარჯვენა მცველად, ხანაც საყრდენ ნახევარმცველად ათამაშებს.

ყაზახეთის ქართული ლეგიონიდან თავს ყველაზე უკეთ დათო ჯანაშია და კახა გოგოლაძე გრძნობენ. ისინი, შესაბამისად, „ატირაუს“ და „ბატისის“ ღირსებას იცავენ, გოლებიც გააქვთ, მწვრთნელებიც ემადლიერებიან და შესაფერის ანაზღაურებასაც არ აკლებენ.

ჩვენებურთ, ყაზახეთის ნაკრების მიერ პორტუგალიასთან ნათამაშებ 0:1-ზეც დავეკითხეთ — მაგარი გახარებულები არიან, ყოჩაღად ვითამაშეთ, მართალია, წავაგეთ, მაგრამ თავი არ შეგვირცხვენიაო — ამბობენ თურმე ყაზახები.

**გიორგი მაჭაძიძე**



დავით ჯანაშია (მარცხნივ) „ატირაუს“ გოლებით ახარებს

# კიჭა ლიგას უკრეჭს კბილებს



**ახლა წინ** მარტო ჩემპიონთა ლიგაა. სწორედ ამ დევიზითა და თავისი საფეხბურთო ჯადოქრობით აღჭურვილა რონალდო ლუის ნასარიო და ლიმა, რომელიც მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში კიდევ ერთი დიდებული გამარჯვების მიღწევას გეგმავს. თავის საინტერნეტო ვებ-გვერდზე სახელგანთქმულმა კიჭამ შემდეგი რამ განაცხადა: „მომავალი სეზონი იმით იქნება გამორჩეული, რომ უამრავ ტიტულს მოვიპოვებთ. „რეალი“ მწვერვალებს ერთიმეორის მიყოლებით იპყრობს და ვეჭვობ, საფეხბურთო ფორტუნამ დამდეგი პრიმერასა თუ ჩემპიონთა ლიგის დროს მიგვატოვოს. ახლა ლიგაში გამარჯვება ჩემთვისაც და ჩვენი გუნდისთვისაც უმთავრესი მიზანია“.

რონალდო, რომელმაც წინა პრიმერადივიზიონში კასტილიურ გრანდთან ერთად ესპანეთის ჩემპიონობა იზეიმა, მიღწეულზე გაჩერებას ნამდვილად არ აპირებს და სამომავლო შერკინებებისთვისაც სრულ მზადყოფნაშია. „მოგების სურვილი და მისწრაფება უზარმაზარია. კარიერაში საუკეთესო დღეები მიდგას და დროა, უკვე მადრიდის „რეალთან“ ერთად ყველაზე დამსახურებული ჯილდო მოვიპოვო. ჩემს შესაძლებლობებს ყოველ საფეხბურთო წელს გამოვიყენებ“ — მტკიცედ ამბობს მსოფლიოს საუკეთესო მობურთალი. მისთვის, როგორც 2002 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელისთვის, მეტად მნიშვნელოვანია, მეტოქეებს რამდენ კარგი თამაშითა და რამდენი გოლით „ასიამოვნებს“. „ამ ბრწყინვალე გუნდის შესაფერისი რომ იყო, ყოველთვის მაქსიმალური შრომა-გარჯაა საჭირო. თუ ამხანაგებისა და ინჩასების დალალატება არ გინდა, მუდამ ასი პროცენტით უნდა დაიხარჯო. წინა სეზონში 30 გოლი გავიტანე. წლეულს ჯერ არ ვიცი ამ რიცხვს რამდენად გავზრდი, თუმცა ვფიქრობ, რომ ჩემს რეკორდს ნამდვილად გადავაჭარბებ“ — ამცნო საფეხბურთო სამყაროს რონალდომ.

**ლადო ხომერიკი**

# ესეც ესპანეთი!



## პალერმომ ბეტისის გვირგვინი დაიდგა

**არგენტინელი** მარტინ პალერმო ესპანეთში დარჩება. გუშინ „ელ ლოკომ“ „ბეტისში“ სამედიცინო შემოწმება გაიარა და იქაურთა პრეზიდენტ მანუელ რუის დე ლოპერას კაბინეტში გაფორმებული ხელშეკრულებით ანდალუზიურ კლუბს 1+2 წლით დაუკავშირდა. „ეს დიდი გამოწვევაა. „ბეტისში“ თამაშით ჩემს ესპანურ კარიერაში უიღბლო პერიოდს ბოლოს მოვუღებ. პრეზიდენტმა ლოპერამ და მწვრთნელმა ფერნანდესმა დიდი შანსი მომცეს, რათა კარგ გუნდში კარგი ფეხბურთი ვითამაშო და ამას მაქსიმალურად გამოვიყენებ. მარტინ პალერმო ახლა „ბეტისისთვის“ იბრძოლებს“ — განაცხადა ზორბა პატაგონიელმა, როცა მის პრეზენტაციაზე ახალი კლუბის თეთრ-მწვანე მაისურას იზომებდა. პალერმო, მიუხედავად „ვილიარეალში“ გატარებული ორი უღიმღამო სეზონისა (რაც მძიმე ტრავმებისა და გუნდის უფროსობასთან ხშირი კონფლიქტების ბრალიც იყო), ესპანეთის დატოვებას არ აპირებდა. რაკი პრიმერადივიზიონის გემო გაიგო, რომელიმე არგენტინულ კლუბში დაბრუნება გულზე აღარ ეხატებოდა. ამას წინათ თქვა კიდეც: არგენტინული გუნდები კალთებს მახევენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, იქ დაბრუნება ახლა ჩემს გეგმებში ნაღდად არ შედისო. მერე კი დააყოლა — ფორმის შესანარჩუნებლად გამალებით ვვარჯიშობ, ჭირვეულ ევროპულ კლუბებს გამხდარი მოვწონვარო და ესპანური „მარკას“ დაბნეულ ჟურნალისტებს თვალიც ეშმაკურად ჩაუპაჭუნა. გაუმართლა ამ ევროპაზე გულშევარდნილ სასიძოს. მართალია, „ბეტისს“ პრიმერას საუკეთესო არა, მაგრამ ერთ-ერთი კარგი გუნდი მაინც ეთქმის და თუ „ელ ლოკოს“ ბედისვარსკვლავი საბოლოოდ არ ჩამქრალა, 2003-04 წლების სეზონში რაღაცის გაკეთება მაინც უნდა მოახერხოს. თავადაც იმედიანადაა: „ნახავთ, „ბეტისი“ ქვეყნის ჩემპიონატში და ევროპულ სარბიელზეც რამდენ გრანდს გაამწარებს. ვფიქრობ, სწორია, აქ გადმოსვლა რომ გადავწყვიტე. თავდაუზოგავად ვიშრომებ და გოლებსაც გაცილებით მეტს შევაგდებ, ვიდრე „ვილიარეალში“ (იქ მთელი თავისი საქმიანობისას მხოლოდ 18 გაიტანა).

**ლადო ხომერიკი**

*ბარსელონური სატრანსფერო აჟიოტაჟი ჯერ არ დამთავრებულა. წინა პარასკევს კატალონიური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი ლისაბონში იმყოფებოდა, რათა იქაურ „ბენფიკას“ პრეზიდენტ ლუიშ ფილიპე ვიეირას ჭაბუკ ტიაგო კარდოზოს „ბარსაში“ გადასვლაზე მოთათბირებოდა*

# ოჰ, ბარსელონაში მომეცი ხერარდი, მოგცემ კარდოზოს

**კარდოზოს** ფასი 15 მილიონი ევროა და როსელის მცდელობანიც ჯერჯერობით წარმატებით არ დაგვირგვინებულა. საქმე ის არის, რომ ესპანელებმა, რომელთაც ტიაგოს საფეხბურთო სიჩაუქე მშვენივრად უწყოდნენ, ვიეირასა და ჟორჟე მენდესის (ფეხბურთელის აგენტი) დასახელებული თანხა მაინც გადაჭარბებულად მიიჩნიეს და ჩვეული სატრანსფერო ვაჭრობა წამოიწყეს. პორტუგალიელებმა კი სტუმრებს გარიგების თავისებური ვარიანტი შესთავაზეს — „ბენფიკას“ მწვრთნელს და წარსულში ესპანეთის ნაკრების თავკაც ხოსე ანტონიო კამაჩოს ბარსელონელი ხერარდ ლოპესის ბურთაობა მოსწონებია და თანახმანი იქნებიან, თუ „ბარსელონა“ თანხის ნაწილს ამ ფეხბურთელით შეავსებს. სხვაგვარად ამ მოლაპარაკების ორმხრივი სარგებლიანობით დამთავრება გამორიცხულია. ასე რომ, სულ მალე შესაძლოა მორიგი ესპანურ-პორტუგალიური გაცვლა-გამოცვლის მომსწრენი შევიქმნეთ.

ექსბარსელონელი ხუან რომან რიკელმე კი, სავარაუდოდ, „რეალ მურსიას“ მობურთალი იქნება. საფეხბურთო სამყაროსთვის უკვე ცნობილია, რომ ხუან ლაპორტას გუნდი თავისთვის უფრო სასარგებლოდ რიკელმეს ევროპაში დარჩენას მიიჩნევდა, ვიდრე მის მექსიკურ „ამერიკაში“ ან არგენტინულ „ბოკა ხუნიორსში“ გადაბარგებას და აი, ბარსელონური „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, რიკელმეს ესპანეთში ბურთაობა თითქმის გადაწყვეტილია. ლაპორტას ემისრები უკვე შეხვედრიან „მურსიას“ თავკაცებს და ბარსელონელთა ყოფილი მე-10 ნომერიც ალბათ იქ ითამაშებს. თუმც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ტრანსფერზე ჯერ საბოლოო წერტილი არ დასმულა და რიკელმესთვის როგორც მადრიდული „ატლეტიკო“, ასევე გერმანული „შტუტგარტი“ და რამდენიმე სხვა ევროპული გუნდიც იბრძვის.

**ლადო ხომერიკი**



ხუან რომან რიკელმეს „მურსიაში“ უშვებენ

# ერთი გასროლით

## მედელინში ფრანსისკო მატურანას ძმა მოკლეს

**კოლუმბიური** ქალაქი მედელინი მორიგი გახმაურებული მკვლელობის მომსწრე გახდა. საკუთარი სახლის მახლობლად სანტა ლუსიას რაიონში უცნობმა თავდამსხმელებმა ამ ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელ ფრანსისკო მატურანას ძმა, ლუის ფერნანდო მატურანა სიცოცხლეს გამოასალმეს. მკვლელმა 53 წლის ლუის ფერნანდოს პირდაპირ სახეში ესროლა, რაც სასიკვდილო აღმოჩნდა. დამლუპველი ნარკობიზნესისა თუ სამოქალაქო ომის კლანჭებში მოქცეული ოდესღაც სანიმუშო სამხრეთამერიკული ქვეყანა ანარქიის უფსკრულისკენ კვლავაც თავაწყვეტილად მიექანება. დღე არ გავა, რომ ადგილობრივმა პრესამ თუ მასმედიის სხვა წარმომადგენლებმა რაიმე საშინელი დანაშაულის შესახებ არ ამცნონ, რასაც უმეტეს შემთხვევაში კოლუმბიური პოლიცია ვერ (თუ არ) ხსნის. ანტიოქიის დეპარტამენტის ძალოვანმა სტრუქტურებმა ხელჩასაჭიდი ვერაფერი იპოვეს ამ მხეცური აქტის გასაშიფრად და მხოლოდ მშრალი გამონათქვამებით დაკმაყოფილდნენ — მკვლელობის მიზეზები უცნობია და სავარაუდოდ ქუჩებში მომრავლებული ბოროტმოქმედების შედეგი უნდა იყოსო. თავად ფრანსისკო მატურანას კი არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია.

**ლადო ხომერიკი**



გიო ახვლედიანის

სვეტი

## რონალდოს მოლოდინში

ა, მოახლოვდა პრემიერლიგის მეორე ტური.

თავისთავად, ეს დიდი არაფერი ამბავია ისეთი, რომ ბევრი და ცალკე ილაპარაკო, რადგან როცა ფეხბურთის მოყვარე ხარ და შაბათი თენდება, ეს შაბათი საფეხბურთო დღეა, პრემიერლიგით იწყება და მერეღა გადადის იტალიასა და ესპანეთში. მაგრამ აქ სხვაა — სხვა მოლოდინით ვარ, ვინაიდან დღეს „ნიუკასლი" „მანჩესტერს" მასპინძლობს და თამაში თამაშად, მაგრამ მე, როგორც ბევრი ჩვენ, ველოდები კრისტიანო რონალდოს, ან კრიშტიანუ რონალდუს, როგორც ალბათ სინამდვილეში ჰქვია.

იმიტომ მოველოდები, რომ მომენატრა ასეთი ფეხბურთელი და ასევე იმიტომ, რომ ბოლო წლებია, ამგვარი გაქანებისა და ნიჭის მოთამაშე საერთოდ არ მინახავს. ის მხოლოდ 18 წლის არის და ნამდვილი გენიოსის რამეები ეტყობა. თანაც ისეთია, რომ უმატებენ ხოლმე. აი, მაგალითად, მაიკლ ოუენი თვრამეტისა რომ იყო, იტყოდი მაგარიაო, სისწრაფე, ოცნაირი დარტყმა და გახსნის უნარი უკვე აბსოლუტური ჰქონდა. რა უნდა მოემატებინა? მატაობას ეგ ვერ დაიწყებდა. ამიტომაც, რაც იყო, ის არის, გამოცდილება ემატება და მორჩა. კრიშტიანუ რონალდუ კი ისეთი ვინმე ჩანს, ბევრი რამის შემატება რომ შეუძლიათ თავისი თამაშისთვის. ვინ იცის, წლების შემდეგ პლეიმეიკერიც გახდეს.

საერთოდ, ჩემი ჩუმი ფავორიტები ფრთის ფეხბურთელები არიან. ამიტომაც, გასულ შაბათს რომ ვნახე, კინაღამ გავგიჟდი. ალბათ, უფრო გავგიჟდებოდი, მანამდე რომ ნანახი არ მყოლოდა, „სპორტინგ" — „მანჩესტერის" თამაშში. ანუ, უკვე ვიცოდი, რომ მაგარია. მაგრამ თბილისი სხვანაირი ქალაქია; როდრიგუ კვარესმა რომ „ბარსაში" გადაიყვანეს, ერთმა ქომაგმა ძმაბიჭმა შემომჩიარა და მითხრა, მეორეც ჰყავთ მაგარი ბავშვიო. შარშან პორტუგალიის ყმაწვილთა თამაშებს ვუყურე და ეს როდრიგო და ის მეორე ფრთებზე ადგილებს ცვლიდნენ, სულერთი იყო რომელი ფეხით თამაშობდნენ, ოღონდ არ გაგეცინოს და ამ მეორეს რონალდო ჰქვიაო.

რონალდინიო ხომ გვყავდა, ახლა კიდევ ერთი რონალდო. ხუმრობით ლაპარაკში ის აზრიც წამოვიდა, რომ ნამდვილი რონალდო სწორედ ეს ბიჭია, კიჭა ბრაზილიელი კი ამიერიდან ნაზარიო ლიმა იყოსო. ამას თავისი ეშმაკობით ხელი შეუწყო სერ ალექს ფერგიუსონმაც, ერთი რომ, ბიჭს რობსონ-კანტონა-ბექემიანი შვიდიანი ჩააცვა და ზურგზეც რონალდო დააწერა. აქაოდა, მადრიდში რომ ვინმეები ჰყავთ, აქ ჩვენ ერთ ბიჭში ჩავტიეთო. ესეც ხუმრობაა, რა თქმა უნდა.

მთავარი სხვაა — ჩვენ თვალწინ დიადი ფეხბურთელი იბადება და დგამს პირველ ნაბიჯებს.

აი, შაბათია, ოთხ საათზე თამაში იწყება, თუ სასტარტოში არ იქნა, სადღაც ექვსის ოც წუთზე მოედანზე კრიშტიანუ რონალდუ გამოვა. მე ველოდები. ალბათ, თქვენც.

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

## ინგლისური სერობა



ახალ რონალდოს დღეს ნიუკასლი ნახავს

დღეს ჩვენი დროით ოთხ საათზე „სენტ ჯეიმს პარკზე" ორი სერი გამოჩნდება — მასპინძელი ბობი რობსონი და სტუმარი ალექს ფერგიუსონი. რობსონისთვის ფერგიუსონი წინა სეზონში მტაცებელი სტუმარი გამოდგა. „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ნიუკასლს" 6:2 მოუგო. მათი პირველი, მანჩესტერული მატჩიც უყვანჯო ჰოკის ჰგავდა. „ოლდ ტრეფორდზე" „წითლებმა" ჯორდებს 5:3 მიართვეს.

ბობი რობსონის გუნდი ყველაზე მეტად რუუდ ვან ნისტელროის უნდა უფრთხილდეს. ჰოლანდიელი ორწლიან პრემიერლიგურ კარიერაში „ნიუკასლს" ოთხჯერ გადაეყარა და ოთხჯერვე გოლებით დაასაჩუქრა. შარშანდელ 5:3-ში მისი ჰეთ თრიქი ურევია.

მასპინძლებს უბერებელი ალან შირერი ჰყავთ, რომელმაც პირველ ტურში „ლიდსს" წყვილი გოლი გაუტანა. „მანჩესტერი" და „ნიუკასლი" კვლავაც გოლუხვობას თუ გამოიჩენენ, ქომაგსაც ეს არ უნდა?

ჯორდთა ცენტრალური მცველი ჯონათან ვუდგეიტი ტრავმირებულია, ვერ ითამაშებს კრეიგ ბელამიც.

პერუელი ნოლბერტო სოლანო კი ჯანზეა. მას მექსიკის წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში გოლიც გაუტანია. სოლანო „ლიდსთან" შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში არ იყო და შესაძლოა, მწვრთნელმა დღეს თერთმეტეულში ადგილი მოუნახოს.

ხორვატებთან დაშავებული მანჩესტერელი ნიკი ბათის თამაში საეჭვოა, სამაგიეროდ, ბრაზილიელ ნახევარმცველ კლებერსონის დებიუტია მოსალოდნელი. გამოჯანმრთელდა გარი ნევილი და ალბათ მარჯვენა მცველობას იკისრებს.

რაღა თქმა უნდა, ნიუკასლში გუნდს ახლავს კრისტიანო რონალდო. სერ ალექს ფერგიუსონი პორტუგალიელით ახლა უკვე ჯორდების გადარევას აპირებს.

ბლექბერნში ლანკაშირული დერბი გაიმართება პრემიერლიგის პირველი და ბოლო გუნდებს შორის. გრემ სუნესი მარკუს ბაბელის და დინო ბაჯოს დამატებას აპირებს, თუმც მათი დებიუტი დღეს საეჭვოა. სამაგიეროდ, „ბოლტონის" მაისურით ეგებ ბრაზილელი მარიო ჟარდელი გამოჩნდეს.

გაზულუქებული „ჩელსი" სეზონში პირველ საშინაო მატჩს გამართავს და იოლად გადასაყლაპი ლუკმა, „ლესტერი" ელის. სტუმრებს ტრავმების გამო კაპიტანი მეტ ელიოტი და ფრენკ სინკლერი დააკლდებიან.

„ევერტონი" „ფულემს" უმასპინძლებს. ფულემელი შონ დევისისა და სტივ მარლეს მომავალს ამ კვირაში გაარკვევენ. შესაძლოა, დევისი დღევანდელი მეტოქის ბანაკში გადაბარგდეს, მარლე კი სავარაუდოდ „მარსელს" მიაშურებს. ტრავმამოშუშებულ უეინ რუნის სარეზერვო გუნდში უთამაშია და გოლიც გაუტანია. ითამაშებს თუ არა იგი „ფულემის" წინააღმდეგ, ამას დევიდ მოიესი გადაწყვეტს.

მანჩესტერში დიდი ბრძოლა გაიმართება. „სიტიმ" ჩემპიონატი რიხით დაიწყო, ისევე როგორც „პორტსმუთმა". მაღალი კლასის მოთამაშეებით შევსებული გუნდების ჯახი თვალსასეირო იქნება.

„საუთჰემპტონი" „ბირმინგემს" ორი მეგოლით დაუხვდება. ჯეიმს ბიტი და კევინ ფილიპსი საგოლე ალღოს არ უჩივიან და ეს პირველ ტურშიც დაამტკიცეს. „სანდერლენდიდან" გადაყვანილ კევინ ფილიპსს „წმინდანთა" ქომაგები დღეს მშობლიურ სტადიონზე იხილავენ.

„ტოტენჰემის" მთავარი პრობლემა ირლანდიელი რობი კინის ტრავმაა. იგი ავსტრალიასთან ამხანაგურ მატჩში დაშავდა და „მამლებს" სამი ტურით გამოაკლდა. მასპინძლებს ახალშეძენილ ბობი ზამორა და ელდერ პოსტიგა ჰყავთ, მაგრამ ისინი გუნდს ჯერ ვერ შეეწყვნენ.

ტოტენჰემის მეტოქე „ლიდსმა" „არსენალიდან" ფორვარდი ჯერმენ პენანტი ორი წლით ითხოვა.

პირველ ტურში მწარედ დამარცხებული გუნდები ვულვერჰემპტონში შეხვდებიან. „ვულვზისა" რა მოგახსენოთ და „ჩარლტონი" თავს პაოლო დი კანიოთი იწონებს, რომელსაც „მანჩესტერ სიტისთან" წაგებულ მატჩში არ უთამაშია. დი კანიოს „ჩელსიდან" იჯარით წაყვანილი ფორვარდი კარლტონ კოული დაეხმარება.

ასევე მარცხნაწვნეენი არიან „ასტონ ვილა" და „ლივერპული". მერსისაიდელები ამ ზაფხულს ჟერარ ულიესგან გუნდის გამოცოცხლებას ელოდნენ, მაგრამ ახალაწყობილ „ჩელსის" რომ დანებდნენ, გუნება კვლავ წაუხდათ. დღეს „ლივერპულისგან" მხოლოდ მოგებას ითხოვენ და, რა თქმა უნდა, წაგება საკუთარი გუნდისთვის „ასტონ ვილას" გულშემატკივრებსაც არ შეუკვეთიათ.

ტური „მიდლსბრო" — „არსენალით" დასრულდება. „რივერსაიდზე" მთავარი ამბავი ალბათ გაისკა მენდიეტას გამოჩენა იქნება. ქერა ბასკმა „ბოროსთან" ერთწლიანი იჯარა გააფორმა და შესაძლოა, სტივ მაკლარენმა „მეთოფეებთან" ათამაშოს.

| II ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ნიუკასლი | — | მანჩესტერი |
| ვულვერჰემპტონი | — | ჩარლტონი |
| ევერტონი | — | ფულემი |
| ტოტენჰემი | — | ლიდსი |
| ბოლტონი | — | ბლექბერნი |
| ჩელსი | — | ლესტერი |
| სიტი | — | პორტსმუთი |
| საუთჰემპტონი | — | ბირმინგემი |
| **ხვალ** | | |
| ასტონ ვილა | — | ლივერპული |
| მიდლსბრო | — | არსენალი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 |
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| სიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ფულემი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| პორტსმუთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბირმინგემი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლიდსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ნიუკასლი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ლესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| საუთჰემპტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მიდლსბრო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ლივერპული | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ევერტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ასტონ ვილა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ტოტენჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჩარლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ვულვზი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |
| ბოლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |



ხვალ შესაძლოა გაისკა მენდიეტას დებიუტი შედგეს

## დიეგუ მაინც ტოტენჰემში ითამაშებს



**„ტოტენჰემ ჰოტსპურმა"** მაინც მოახერხა „სანტოსთან" საქმის გაჩარხვა. ორი დღის წინ ბრაზილიურმა კლუბმა უარი უთხრა გლენ ჰოდლის ხალხს 18 წლის ნახევარმცველის დიეგუს მიყიდვაზე.

ლონდონელთაგან შეთავაზებული ფასი 5,6 მილიონი გირვანქა იყო, მაგრამ „სანტოსი" უარს დადგა, რადგან კლუბს ფეხბურთელში ასალები თანხის მხოლოდ 60 პროცენტი დარჩებოდა, რადგან დანარჩენი დიეგუს მამას, ჯაირ და კუნიას ეკუთვნის.

ახლა „ტოტენჰემმა" 7,6 მილიონი გირვანქა სანტოსელებსო და სეუ და კუნიამაც თქვა, ნაცვლად ორმოცისა, 30 პროცენტიც მეყოფაო.

მოკლედ, „სანტოსი" თანახმაა, ოღონდ სალაპარაკოა, როდის გადავა ფეხბურთელი ლონდონში.

ინგლისელებს სურთ, რომ დიეგუმ ბარგი დაუყოვნებლივ ჩაალაგოს, სანტოსელები კი ცდილობენ, რომ თავიანთი მთავარი იმედი ბრაზილიის ჩემპიონატის, ანუ წლის ბოლომდე დაიტოვონ.

დიეგუ 18 წლისაა, „სანტოსში" პელეს მეათენომრიანი სამოსით თამაშობს და ბრაზილიის ნაკრებშიაც ადგილი აქვს. მწვრთნელები მას „უმცროს ზიდანს" უწოდებენ. სწორედ დიეგუმ და მისმა თანატოლმა რობინიომ დაიდეს ლომის წილი შარშან „სანტოსის" ჩემპიონობასა და გუნდის ლიბერტადორესის თასის ფინალში გასვლაში.

# აბრამოვიჩის საოცარი აფრენა

## იბრაჰიმოვიჩი კი მაგრად აფრენს

*„ჩელსის“ ახალმა მოთამაშემ, ადრიან მუტუმ კლუბის რუს პრეზიდენტზე, ჩუკოტკის გუბერნატორ რომან აბრამოვიჩზე ახალი ამბები მოჰყვა. კერძოდ, 15,8 მილიონ გირვანქად ნაყიდმა რუმინელმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ „რიჟა რომამ“ (მოგვიტევეთ რუსული სიტყვისთვის, მაგრამ აბრამოვიჩისთვის ევროპულ პრესაში შერქმეულ* ***RED ROM****-ს უკეთესი, თან ორ* ***R****-იანი თარგმანი ვერ მოვუძებნეთ) ერთხელ ფეხბურთის გულისთვის საკუთარი თვითმფრინავით 9 საათი იფრინა*



რომან აბრამოვიჩი

**მუტუმ** ხელები გაშალა: „ასეთი ბიჭის ხელმძღვანელობით ყველაფერი შეიძლება მოიგო“.

ახლა მოვყვეთ, რა ცხრასაათიან ფრენაზეა საუბარი. დავიწყოთ იმით, რომ აბრამოვიჩი ფეხბურთს ჩუკოტკაში ყოფნისას, სათანამგზავრო მოწყობილობების წყალობითა და შემწეობით უყურებს. ხანდახან ალიასკაზე თავის იახტაში ჯდება იქიდან ადევნებს მოვლენებს თვალს, მაგრამ ერთხელ საშინელება მოხდა: რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი გადამწყვეტი შეხვედრის წინა დღეს ზემოხსენებული სათანამგზავრო სისტემა გაფუჭდა. „რიჟა რომა“ ლამის ჭკუაზე გადავიდა.

მუტუ: „იმის მერე, რაც აბრამოვიჩმა მოგვითხრო, ჩვენ, „ჩელსის“ ფეხბურთელები მისი ნომერ პირველი ფანები და მხარდამჭერები გავხდით. სისტემის გაფუჭება ერთია და მას გაუგია, რომ თამაშის დაწყებისთვის მისი კეთება გამორიცხული იყო, ამიტომ ყოყმანი აღარ დაუწყია, ამდგარა და კერძო თვითმფრინავისკენ გაქცეულა, რათა ცხრა საათიანი ფრენის შემდეგ მიეღწია ისეთი ადგილისთვის, სადაც ტელევიზორი იჭერდა და მატჩის მიმოხილვას აჩვენებდნენ“.

ამის შემდეგ, როგორ უნდა გაუკვირდეს ადამიანს, რომ აბრამოვიჩი ლონდონური გუნდის სასიკეთოდ დიდძალ თანხებს ხარჯავს? თუ „ჩელსი“ „ინტერისგან“ ცნობილ არგენტინელ თავდამსხმელს, ერნან კრესპოსაც იყიდის, მაშინ „რიჟა რომას“ დანახარჯები 100 მილიონ გირვანქას გადააჭარბებს.

28 წლის კრესპოზე აქამდეც იყო ლაპარაკი, მაგრამ მილანელი „შავლურჯები“ მისი გაყიდვისგან თავს იკავებდნენ. ბოლო ხანს ვითარება შეიცვალა და მილანელებმა ლონდონში ჩაფრენაზე თანხმობა განაცხადეს.



ადრიან მუტუ

მაგრამ, არ არის გამორიცხული, „ჩელსის“ ჩუკოტკელ მეპატრონეს კიდევ 19 მილიონი გირვანქის გალება მოუხდეს. საუბარია „აიაქსში“ თამაშით თავგამოჩენილი შვედის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის შეძენაზე. აღსანიშნავია, რომ ზლატანის ყიდვაზე „აიაქსის“ ოფისში შვიდი განცხადება მივიდა. აქედან ორის ამბავი ჩვენთვის ცნობილია, ერთი გახლდათ „ლიონის“ ფაქსი, მეორე კი „რომასი“, მაგრამ ამსტერდამიდან, როგორც ერთზე, ასევე მეორეზე უარის შემცველი წერილით გასცეს პასუხი. „ლიონი“ 10 მილიონ გირვანქას გამოდიოდა, „რომა“ 12-ს, „ჩელსი“ კი, როგორც ირკვევა 19 მილიონზეც არ იხევს უკან.

იბრაჰიმოვიჩი 21 წლის ხუმარა კაცია, რომელიც, იმავდროულად, ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე ფეხბურთელებზე ამბობს იმას, რასაც ფიქრობს. მისი ხუმრობებიდან ასეთის გახსენება შეიძლება: როდესაც ჯერ კიდევ შვედურ „მალმიოში“ თამაშობდა, დაჯდა მანქანაში და იქაურ „წითელი ფარნების კვარტალში“ ანუ საროსკიპოთა უბანში შევარდა — პოლიციელის როლს თამაშობდა. „პოლიციელმა იბრაჰიმოვიჩმა“ „წითელი ფარნების კვარტალში“ შუა ხნის კახპა დააპატიმრა კიდეც და მანქანაში დასაკითხად ჩაისვა.



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

რაც შეეხება პირდაპირობას, „ვალენსიაში“ მოთამაშე იონ კარეუზე ზლატანმა თქვა:

„რასაც ის ბურთით აკეთებს, მე შემიძლია ფორთოხლით გავაკეთო“.

**პაპუნა ძიძია**

# ჭირისუფალნი

## ბექემი და ფერგიუსონი ერთმანეთს სიკვდილმა შეახვედრა

დევიდ ბექემი და ალექს ფერგიუსონი ერთმანეთს ტრაგიკულმა შემთხვევამ, ახალგაზრდა კაცის დაკრძალვამ კვლავ შეახვედრა. წყვილი, რომელსაც ფეხბურთელის „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „რეალში“ გადასვლის შემდეგ ერთმანეთისთვის ხმა არ გაუცია, კიდევ 400 ადამიანთან ერთად მიაცილებდა ჯიმი დევისის კუბოს — 21 წლის ფეხბურთელი ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა. როგორც ასეთ წვრილმან-მსხვილმანებზე ჩასაფრებულმა ინგლისელმა ჟურნალისტებმა შენიშნეს, გრძელ შავ პიჯაკში გამოწყობილი ბექემი იქ გამოსვენებამდე ორი წუთით ადრე, BMW-თი მივიდა და შეუერთდა როი კინს, პოლ სქოულზს და რუუდ ვან ნისტელროის, რომლებიც 25 წუთით ადრე მისულიყვნენ. გასვენებას ესწრებოდნენ ფილ და გარი ნევილებიც, რომლებიც ასევე შეუერთდნენ ზემოხსენებულ ჯგუფს — გასვენება ჯიმის მშობლიურ ქალაქ რედიტჩში იყო.







პროცესის მონაწილეთა შორის ვერავინ შენიშნა ბექემი და ფერგიუსონი ერთმანეთს რომ გამოლაპარაკებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს არც გარიდებიან.

გარდაცვლილი, ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების გარემარბი, ჯიმი დევისი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ საკუთრებ 14 წლიდან გახლდათ, თუმცა ამჟამად პირველი დივიზიონის კლუბ „უოტფორდში“ გახლდათ გასესხებული. ავტოკატასტროფა ავტოსტრადაზე „ქოვენთრისთან“ სათამაშოდ გამგზავრებულს შეემთხვა.

**პაპუნა ძიძია**



# მე დავბრუნდი

## მაკელელე რეალისტი კაცია

**კლოდ მაკელელემ** გაფიცვა შეწყვიტა და დაახლოებით ერთკვირიანი ბოიკოტის შემდეგ მადრიდის „რეალის“ ვარჯიშზე მივიდა. 30 წლის ნახევარმცველი მწვრთნელმა კარლუშ კეიროშმა ჯერ ძირითადი ჯგუფისგან ცალკე, ფრანსისკო პავონთან და რობერტო კარლოსთან ერთად დატვირთა, ხოლო შემდეგ ნახევარ მოედანზე თამაშში ჩართო.

შეგახსენებთ მაკელელეს გაფიცვის მიზეზს: ფრანგმა აღმოაჩინა, რომ „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში ყველაზე დაბალ ხელფასს იღებს, რამაც, როგორც გუნდისთვის თავდადებულ და სასარგებლო მოთამაშეს, შეურაცხყოფა მიაყენა. კლუბის ხელმძღვანელებმა მაკელელეს ხელფასის მომატებაზეც უარი უთხრეს და „ჩელსიში“ გაყიდვაზეც.

„ფსიქოლოგიურად დავითრგუნე — განუცხადა მაკელელემ რამდენიმე დღის წინ ფრანგულ გაზეთს „ეკიპს“ — არ ვვარჯიშობდი, რადგან არ შემეძლო, თავი ვერ ვაიძულე. ახლა ყველაფერი რიგზეა“.

შეგახსენებთ, რომ „რეალი“ პარმაში „მალიორკასთან“ სუპერთასის პირველი შეხვედრისთვის ემზადება.

**პაპუნა ძიძია**

# გერმანია

ვაკო ხუციშვილი

## ლევერკუზენს ბოხუმი გაასწორებს?

## ასპირინი დაფრინავს, ასპირინი არ დადის

**IV ტური**

**დღეს**

აინტრახტი — ჰერტა
შტუტგარტი — ლაუტერნი
ვერდერი — შალკე
მიუნხენ 1860 — ვოლფსბურგი
კიოლნი — დორტმუნდი
ფრაიბურგი — გლადბახი
ბოხუმი — ლევერკუზენი

**ხვალ**

ჰამბურგი — ბაიერნი

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| დორტმუნდი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:3 | 7 |
| ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ვერდერი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| შტუტგარტი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| 19.00 | 5503 | ჩელსი-ლესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5504 | ევერტონი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5505 | სიტი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5506 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5507 | ტოტენჰემი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5508 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5509 | აინტრახტი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5510 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5511 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5512 | ვერდერი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5553 | კიოლნი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5514 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5515 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 5516 | ასტონ ვილა-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 5517 | მიდლსბრო-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5518 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## I ტაიმის შედეგი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 5001 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 19.00 | 5002 | ბოლტონი-ბლექბერნი | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 19.00 | 5003 | ჩელსი-ლესტერი | 1,45 | 3,3 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,29 |
| 19.00 | 5004 | ევერტონი-ფულემი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 19.00 | 5005 | სიტი-პორტსმუთი | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 19.00 | 5006 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 19.00 | 5007 | ტოტენჰემი-ლიდსი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 19.00 | 5008 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 18.30 | 5009 | აინტრახტი-ჰერტა | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 18.30 | 5010 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 18.30 | 5011 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2,15 | 2,15 | 5.0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 18.30 | 5012 | ვერდერი-შალკე | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 18.30 | 5013 | კიოლნი-დორტმუნდი | 4,2 | 2,1 | 2,4 | 1,4 | 1,52 | 1,12 |
| 18.30 | 5014 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 2,5 | 2,1 | 3.8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 18.30 | 5015 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1.28 | 1,54 | 1,21 |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 5016 | ასტონ ვილა-ლივერპული | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 20.05 | 5017 | მიდლსბრო-არსენალი | 4.8 | 2,15 | 2,2 | 1,48 | 1,5 | 1,08 |
| 20.00 | 5018 | ჰამბურგი-ბაიერნი | 4,6 | 2,1 | 2,3 | 1,44 | 1,53 | 1,09 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| დრო | № | მატჩი | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **23 აგვისტო** | | |
| 16.00 | 5301 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5302 | ბოლტონი-ბლექბერნი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5303 | ჩელსი-ლესტერი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5304 | ევერტონი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5305 | სიტი-პორტსმუთი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5306 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5307 | ტოტენჰემი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5308 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 5309 | აინტრახტი-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5310 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5311 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5312 | ვერდერი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5313 | კიოლნი-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5314 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 5315 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| | | **24 აგვისტო** | | |
| 18.00 | 5316 | ასტონ ვილა-ლივერპული | 1,75 | 1,85 |
| 20.05 | 5317 | მიდლსბრო-არსენალი | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5318 | ჰამბურგი-ბაიერნი | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| დრო | № | მატჩი | | |
|---|---|---|---|---|
| | | **23 აგვისტო** | | |
| 16.00 | 5201 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5202 | ბოლტონი-ბლექბერნი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5203 | ჩელსი-ლესტერი | 2,0 | 1,6 |
| 19.00 | 5204 | ევერტონი-ფულემი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5205 | სიტი-პორტსმუთი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5206 | საუთჰემპტონი-ბირმინგემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5207 | ტოტენჰემი-ლიდსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5208 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 1,85 | 1,75 |
| 18.30 | 5209 | აინტრახტი-ჰერტა | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5210 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5211 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5212 | ვერდერი-შალკე | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5213 | კიოლნი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5214 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5215 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 1,95 | 1.65 |
| | | **24 აგვისტო** | | |
| 18.00 | 5216 | ასტონ ვილა-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 20.05 | 5217 | მიდლსბრო-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 5218 | ჰამბურგი-ბაიერნი | 1,95 | 1,65 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **23 აგვისტო** | | | | | | | | | |
| 16.00 | 5101 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 19.00 | 5102 | ბოლტონი-ბლექბერნი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 5103 | ჩელსი-ლესტერი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 6,0 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 19.00 | 5104 | ევერტონი-ფულემი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 5105 | სიტი-პორტსმუთი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 5106 | საუთჰემპტ.-ბირმინგემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 5107 | ტოტენჰემი-ლიდსი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 5108 | ვულვერჰემ.-ჩარლტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.30 | 5109 | აინტრახტი-ჰერტა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,6 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.30 | 5110 | ფრაიბურგი-მ.გლადბახი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,6 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.30 | 5111 | შტუტგარტი-კ.ლაუტერნი2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 | |
| 18.30 | 5112 | ვერდერი-შალკე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,6 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 18.30 | 5113 | კიოლნი-დორტმუნდი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,6 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 18.30 | 5114 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,6 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 5115 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,6 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5116 | ა.ვილა-ლივერპული | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 20.05 | 5117 | მიდლსბრო-არსენალი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,6 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 20.00 | 5118 | ჰამბურგი-ბაიერნი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,6 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |

ბიბლიოთეკა

## ვაჟების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- აგასი (1) — კორეჩა
- ვინსიგერა — კენდრიკი
- კარლსენი — მორისონი
- ვლიეგენი — კაფელნიკოვი (28)
- მირნი (18) — დავიდენკო
- დენტი — ჩელა
- *შერჩეული* — კუბეკი
- ჩანგი — გონსალესი (15)
- გროჟანი (9) — *შერჩეული*
- ბიორკმანი — ვოლანდრი
- კუჩერა — პოპი
- *შერჩეული* — ფიში (24)
- კლემანი (31) — ვაალი
- კარაზი — რუზეცკი
- ულირახი — *შერჩეული*
- პუერტა — კორია (5)
- ფერერო (3) — კანასი
- მელცერი — ბეიკერი
- *შერჩეული* — ბერენდი
- *შერჩეული* — *შერჩეული*
- ფერეირა (23) — მარინდა
- ფერერი — ჯინეპრი
- იმი — ტ. მარტინი
- ბოგომოლოვი — ფერკერკი (16)
- შრიჩაფანი (11) — სოლნიე
- გიმელსტობი — ჰრბატი
- რამირეზ იდალგო — სანგვინეტი
- *შერჩეული* — რობრედო (17)
- ლოპესი (29) — სტეპანეკი
- *შერჩეული* — სანტორო
- ჰუნგ ტაიკი — ვოლჩკოვი
- ჰანესკუ — ჰიუიტი (6)
- შუტლერი (8) — არტურსი
- კიფერი — სკუირალი
- მუტუ — ა. მარტინი
- სლოიტერი — კოსტა (25)
- მანტია (21) — *შერჩეული*
- *შერჩეული* — არაზი
- ჰორნა — ბურგსმიულერი
- ბუტე — შალკენი (12)
- კუერტენი (14) — *შერჩეული*
- კ. როხუსი — ფან ლოტუმი
- მალისი — ო. როხუსი
- ეშაუერი — კალერი (19)
- სპადეა (32) — სარეტა
- ბეკი — ლაპენტი
- ლიუბიჩიჩი — მათიო
- ჰენმანი — როდიკი (4)
- მოია (7) — დრეიპერი
- *შერჩეული* — მონტანესი
- *შერჩეული* — პორტასი
- მასუ — გაუდიო (30)
- ელ აინაუი (22) — კიმი
- ნადალი — ვისენტე
- სანჩესი — გემბილი
- ანჩიჩი — ნოვაკი (10)
- ნალბანდიანი (13) — *შერჩეული*
- ნიემინენი — *შერჩეული*
- იუენი — დიუპუი
- *შერჩეული* — ფილიპუსისი (20)
- საბალეტა (27) — ბლეიკი
- დელიჩი — სარგსიანი
- ლისნარი — ნორმანი
- აკასუსო — ფედერერი (2)

## US OPEN 2003

# ენდი-მენდი
## მეფე მიდის, გაუმარჯოს მეფეს?!

**მაშინ**, როცა აშშ-ის ღია პირველობის შარშანდელი გამარჯვებული, 14-გზის სლემტიტულოსანი და მრავალთაგან ყველა დროის საუკეთესო მეჩოგნედ მიჩნეული პიტ სამპრასი — ტიტულის დაცვას ვინლა ჩივის — ორშაბათს დიდი ჩოგბურთიდან ოფიციალურად წასვლას აპირებს, ხოლო ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონი, წლეულს ამქრის უსტაბაშობიდან ჩამოლაბორანტებული ლეიტონ ჰიუიტი მხოლოდ ცარიელი ბაქიბუქია, საქმეში ჩახედული ხალხი წლის უკანასკნელი სლემტურნირის ფავორიტებად ოთხ მობურთალს მიიჩნევს. ესენი წლევანდელი სლემტიტულოსნები — ანდრე აგასი, ხუან კარლოს ფერერო და როჯერ ფედერერი — და ჩრდილოამერიკული ზაფხულობისას უჩაუქესად გარჯილი ენდი როდიკი არიან.

20 წლის როდიკს ურიგოდ არც მშობლიურ მაგარკორტებამდე უთამაშია — ავსტრალიის ღია პირველობისა და როლან გაროსის ნახევარფინალებში გასვლის გარდა ზანკტპიოლტენურ თიხნარსა და ქუინზკლაბურ ბალახზე თავისი პირველი ევროტიტულებიც იშოვა.

მაგრამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ის მართლაც შეუდარებელი იყო: სამი — ინდიანაპოლისური, მონრეალური და ცინცინატური — ტიტული მოიმკა, ჩემპიონთა რბოლაში გაპირველდა და ყველაფერ ამას ისეთი შთამბეჭდავი ჩოგნაობით მიაღწია, რომ მილეთთან ერთად საკუთარი თავიც დააჯერა — მას ახლა მართლაც შეუძლია სამპრას-აგასიანთა დიადი თაობის ჭეშმარიტი მთავარმემკვიდრეობა გასწიოს!

სპეციალისტებმა უმალ გაიხსენეს, რომ უკანასკნელად მონრეალური და ცინცინატური მასტერსტურნირების მიჯრით აოხრება 1998 წელს ნატიფმა ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმა მოახერხა. რაფტერს იმ ზაფხულში ინდიანაპოლისშიც ემარჯვა, ხოლო მოგვიანებით მან აშშ-ის ღია პირველობაც მოიგო.

ამგვარი პარალელგავლების შემდეგ და კიდევ იმის გამოც, რომ მონრეალურ ნახევარფინალში როდიკმა მანამდე მისი ოთხჯერ მძლეველი როჯერ ფედერერიც ზორბად დათრგუნა, როდიკის საამფლეშინგმედოუზო აქციები „საჩოგბურთო ბირჟაზე" ახლა ყველაზე ძვირად ფასობს.

ეგ მით უფრო, რომ ბეტონი — რასაც ჩვენ მაგარსაფრადაც მოვიხსენიებთ — უმძლავრესად მომწოდებელი ენდიბოისთვის „ზედგამოჭრილი" საფარია. ამას დაამატეთ „შინაური კედლები", მომღერალ-მსახიობი გელფრენდი მენდი მური, ვინაც მის იმიჯს ერთგვარ მობომონდო ქარიზმასაც მატებს და... წარმატების რეცეპტიც თითქოს მზადაა.

ერთადერთი, რაც როდიკის ქომაგებს ადარდებთ, რთული ბადეა. პირველსავე წრეში მას ტურნირზე განუთესავთაგან უძნელესი მეტოქე, ბრიტანელი ტიმ ჰენმანი შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ჰენმანი მოაწოდე-მიემალე ყაიდით თამაშობს და ერთადერთია, ამ საზაფხულო მაგარკორტობისას როდიკის დამარცხება რომ შეძლო — ეს ამბავი ვაშინგტონურ ნახევარფინალში მოხდა.

იოლი მეტოქეები ენდიბოის არც მერე მოელის. მეოთხე წრეში ის, შესაძლოა, სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენს გადაეყაროს, მეოთხედფინალში კი ან წლეულს კარიერის საუკეთესო სეზონის მოთამაშე რაინერ შუტლერს ანაც როლან გაროსის შარშანდელ ჩემპიონ ალბერტ კოსტას შეეხლება.

თუმცა მისი საამტურნირო პრეტენზიების ფაიზალობას ალბათ ისევ როჯერ ფედერერი გამოსცდის, რომელიც — უკეთუ ყველაფერი „წესისა და რანგის მიხედვით" წარიმართება — მას ნახევარფინალში უნდა დაუხვდეს.

ფედერერს ახლა ყველაზე უნივერსალურ — ანუ ყველა საფარსა და ყველა სტილით თანაბრად მაღალ დონეზე მოთამაშე მეჩოგნედ თვლიან. ერთადერთი, რაც მას აქამდე აკლდა, საკუთარი ძალების რწმენა იყო. მაგრამ წლევანდელი უიმბლდონობის შემდეგ ფედერერმა თავისი ფასი უკვე საუცხოოდ იცის — თუკი ურთულეს პირველ კვირას გაივლის და ჯეიმს ბლეიკს, უიმბლდონურ ფინალში მის მიერ ძლეულ მარკ ფილიპუსისს, დავიდ ნალბანდიანსა და კარლოს მოიას აჯობებს, მერე მისი გაჩერება ძალზედ ძნელი იქნება.

ამქრის ამჟამინდელი უსტაბაშის, 33 წლის ანდრე აგასისთვის კი ეს ეგებ უკანასკნელი ფლეშინგმედოუზობა გამოდგეს.

სეზონი მან საარაკოდ დაიწყო — ავსტრალიის ღია პირველობაზე კარიერის მე-8 სლემტიტულის მოგების შემდეგ ერთი ამოსუნთქვით მიითვალა სანხოსეური, მაიამური და ჰიუსტონური ტიტულები. მაგრამ გაზაფხულიდან მოყოლებული ლეგენდარულ არმენოამერიკელს მისი სიდიადის შესაფერი აღარაფერი გაუკეთებია და თუკი ღია ტურნირთა ერაში ანუ 1968 წლიდან დღემდე ამქრის უმხცოვანესი პირველმეჩოგნე შეიქნა, ეგ ძირითადად ლეიტონ ჰიუიტის საამსეზონო ჩაფლავებათა გამო.

ვაშინგტონში ის ფერნანდო გონსალესთან დამარცხდა, ხოლო მონრეალში — მის მიერ მელბურნულ ფინალში გათახსირებულ რაინერ შუტლერთან. ამ დამარცხებებს შეიძლება ორი ახსნა მოეძებნოს — ჯადო ანდრანიკს ან მუხლში ძალა აღარ ერჩის, ანაც მთელი ფიქრები ნიუ იორკისკენ ჰქონდა მიპყრობილი. იმ კვირაში გაირკვევა, ამ ორი ახსნიდან უფრო მისაღები რომელი უნდა იყოს.



ენდი როდიკი ამერიკას გაუყოჩდა

ისე კი, მთელი ამერიკა ჭაბუკი ენდისა და წარმავალი ანდრეს საფინალო შეხლის მოლოდინშია. თუკი ანდრე პირველ კვირას გაატანს, არ არის გამორიცხული, მეოთხედფინალში უმცროს თვისტომს, ცინცინატურ ფინალში როდიკისგან ძლეულ მარდი ფიშს დაეჯახოს. თუმცა სიყრმის კერპთან საბუქნაოდ ფიშს დახვეწილი სებასტიან გროჟანისა და ივლისში ზედიზედ სამი თიხნარტურნირის მომგებ გილერმო კორიას ოტება მოუწევს. ეს კი — ვინძლო, დაგვეთანხმებით — არც ისე იოლი საქმეა, რადგანაც გროჟანიცა და კორიაც საკმაოდ რიგიანი „მებეტონეები" არიან.

სხვათა შორის, თუკი ამ ტურნირზე ვინმესგან მსუყე მოულოდნელობებს მოელიან — ეგ სწორედ 21 წლის გაუჩო გახლავთ.

რაც შეეხება ხუან კარლოს ფერეროს, ის ჯერ კიდევ როლან გაროსის შემდეგ იქადნიდა — მსურს, ყველას დავუმტკიცო, რომ აშშ-ის ღია პირველობის მოგება ესპანელსაც შეუძლიაო. მაგრამ ქადილის წინაალმდეგ, უიმბლდონის მერე ისევ თიხნარტურნირებზე უტიტულოდ ხათქუნი არჩია და ჩრდილოამერიკულ მაგარკორტობას გვიანღა შეუერთდა. ამიტომაც მისი წარმატებისა განსაკუთრებით არავის სჯერა, თუმცა კოლობიჭს მაინც ყველაფერი აქვს საიმისოდ, რათა ტურნირს გვიანეტაპებამდე შერჩეს — სისწრაფეც, ჯიგარიც და გონიერებაც.

და მაინც — ჰიუიტი?!

როგორც მისი კრიტიკოსები ამბობენ, ბოლო წლის განმავლობაში ამ უნიჭიერესი და უფეხმარდესი ოზბიჭისთვის ტიტულების მოგებაზე უფრო მნიშვნელოვნად ATP-ელი მამებისთვის სასამართლო პროცესისა თუ უბრალოდ ნიშნის მოგება იქცა.

ჩვენ ამაზე დასამატებელი არაფერი გვაქვს. თუმცა ჩოგბურთისთვის მართლაც არ იქნებოდა კარგი, მის ერთ ყველაზე კოლორიტულსა და გამორჩეულ მეომარს მთელი სეზონი ასე უსახელოდ რომ ჩაუფლავდეს.

## ყველა ჩემპიონი 1960 წლიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1960 | ნილ ფრეზერი | 1974 | ჯიმი კონორსი | 1988 | მატს ვილანდერი |
| 1961 | როი ემერსონი | 1975 | მანუელ ორანტესი | 1989 | ბორის ბეკერი |
| 1962 | როდ ლეივერი | 1976 | ჯიმი კონორსი | 1990 | პიტ სამპრასი |
| 1963 | რაფაელ ოსუნა | 1977 | გილერმო ვილასი | 1991 | სტეფან ედბერგი |
| 1964 | როი ემერსონი | 1978 | ჯიმი კონორსი | 1992 | სტეფან ედბერგი |
| 1965 | მანუელ სანტანა | 1979 | ჯონ მაკინროი | 1993 | პიტ სამპრასი |
| 1966 | ფრედ სტოული | 1980 | ჯონ მაკინროი | 1994 | ანდრე აგასი |
| 1967 | ჯონ ნიუკომბი | 1981 | ჯონ მაკინროი | 1995 | პიტ სამპრასი |
| 1968 | არტურ ეში | 1982 | ჯიმი კონორსი | 1996 | პიტ სამპრასი |
| 1969 | როდ ლეივერი | 1983 | ჯიმი კონორსი | 1997 | პატრიკ რაფტერი |
| 1970 | კენ როუზუოლი | 1984 | ჯონ მაკინროი | 1998 | პატრიკ რაფტერი |
| 1971 | სტენ სმიტი | 1985 | ივან ლენდლი | 1999 | ანდრე აგასი |
| 1972 | ილიე ნასტასე | 1986 | ივან ლენდლი | 2000 | მარატ საფინი |
| 1973 | ჯონ ნიუკომბი | 1987 | ივან ლენდლი | 2001 | ლეიტონ ჰიუიტი |
| | | | | 2002 | პიტ სამპრასი |

US OPEN 2003

# ფინალი: ნიუ იორკს, ეტყობა, შიდა აქვს

## ოღონდ – არა შავდური, არამედ ბელგიური

**ცხრა** ზეპური ამერიკელი ქალიდან რვას ამ ზაფხულში ტრავმები აწუხებდა. ამათგან ყველაზე მთავარი — ამჟრის აქამომდელი რეალური და ამჟამინდელი ვირტუალური პირველოსანი სერენა უილიამსი საბოლოოდ მშობლიური სლემტურნირის მიღმაც აღმოჩნდა. უმცროსმა შავდამ მარცხენა მუხლის გაუსაძლის ტკივილს ვეღარ გაუძლო და სამიოდ კვირის წინ ფეხი დასტაქრებს გააკვეთინა.

უკეთეს დღეში არც სერენას უფროსი დაიკო ყოფილა. ვინუსს უკვე რახანია ქვედამუცლის დაჭიმულობა აწუხებს და დის მსგავსად ჩოგანი უიმბლდონის შემდეგ აღარ გაუნძრევია. მართალია, ტურნირზე ის მაინც ითამაშებს, მაგრამ მისი გამარჯვებისა მხოლოდ თავგადაკლულ ქომაგებს თუ სჯერათ.

თუმცა — ვინ იცის — ეგებ ვინუსს ამ უქმე თვეების განმავლობაში მოკიდებული ჟანგის ჩამოსაცლელად საპირველქვირაო ისე-რა მატჩებიც ეყოს. პირველი სერიოზული მეტოქე მას მხოლოდ მესამე წრეში ეყოლება — ის იქ იტალიელ ფრანჩესკა სკიავონეს უნდა ერკინოს. მერე კი ან გაუტეხელი აი სუგიამა ან ისევ იტალიელი სილვია ფარინა-ელია მოდის. თუკი ვინუსი მეოთხედფინალამდეც გაატანს, იქ ბუთქუნა თვისტომ ჯენი კაპრიატის დაეტაკება. ჯენის თავის მხრივ მხრისა და მკერდის ტრავმები აწუხებს და ფავორიტთა შორის მოსახსენიებელი არც თავად გახლავთ. და ისიც საკითხავია, შეძლებს კი მეოთხე წრეში ხათქუნა რუსის, ელენა დემენტიევას გზიდან ჩამოშორებას.

ასეა თუ ისე, ვინუსი იქნება ის თუ ჯენიფერი, ნახევარფინალში ერთ-ერთ მათგანს ჟუსტინ ენენ-არდენი დაელოდება. ეს ერთი ციდა ბელგოგო — ფუმფულა თვისტომ კიმ კლაისტერსთან ერთად — წლეულს ფანტასტიკურად ჩოგნაობს და ტურნირის უმთავრეს ფავორიტადაც მიიჩნევა.

საქმეში ჩახედული ხალხი ფიქრობს, რომ უუილიამსებო კორტებზე — და ვინუსის შანსები, აკი მოგახსენეთ, არც ისე ლონივრად ფასდება — ისევ ბელგიელები იყეფებენ. ეგ მით უფრო, რომ ჟუსტინსა და კიმს ყეფა წლეულს უილიამსებიან, სახელდობრ, როლანგაროსულ სლემკორტებზეც გამოუვიდათ. მაშინ — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — ჟუსტინმა კიმს შიდაბელგიურ შეხლაში აჯობა.

კიმის საარაკო, 6-ტიტულიან სეზონს, რაიც ამ რამდენიმე კვირის წინ ამქარში გაპირველოსნებითაც გამოირჩა, ჭეშმარიტ გვირგვინად მხოლოდ სლემტიტულიღა აკლია. თავად კიმმაც ჩინებულად უწყის, უსლემტიტულო პირველობის ფასი გახვრეტილი უზალთუნია და — რაკიღა ბოლო თვეები გრიალ-გრიალით ჩაითამაშა — საამტიტულო პრეტენზიებიც უხვად მოეძევება და ამ პრეტენზიების გასანაღდებელი ილაჯიც.

ერთი ეგაა, იოლი გზა არც ნახევარფინალამდე უძევს (გრენვილი, კუზნეცოვა, შონესი და ზვონარიოვა), ხოლო ნახევარფინალში ან ლინდსი დევენპორტს ეპაექრება ანაც ჩანდა რუბინს. თუმცა — იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ დევენპორტს ფეხის ტრავმა მისძალებია, რუბინს კი — მხრისა, კიმმა ისევ შედარებით უსახელო მეტოქეებზე უნდა იფიქროს.

ერთი სიტყვით — თუკი ისევ ვინუსმა არ ივარგა, საქმეში რომელიმე რუსგოგო არ ჩაერია ანაც საერთოდ რაიმე სისულელე არ მოხდა, შიდაუილიამსური და შიდაამერიკული ფინალის მაგიერ ორიოდ კვირის მერე ისევ შიდაბელგიურ ფინალს ვიხილავთ.

**ლევან ძელაშრაძე**





ჟუსტინ ენენ-არდენმა და კიმ კლაისტერსმა საჩოგბურთო ბელგია არნახულად გაახარეს





ვინუს და სერენა უილიამსებს ტკივილთა თმენისა და სხვათა ზეობის ჭვრეტის ჟამი უდგათ

## ყველა ჩემპიონი 1960 წლიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1960 | დარლენ ჰარდი | 1974 | ბილი ჯინ კინგი | 1988 | შტეფი გრაფი |
| 1961 | დარლენ ჰარდი | 1975 | კრის ევერტი | 1989 | შტეფი გრაფი |
| 1962 | მარგარეტ სმიტი | 1976 | კრის ევერტი | 1990 | გაბრიელა საბატინი |
| 1963 | მარია ბუენო | 1977 | კრის ევერტი | 1991 | მონიკა სელეში |
| 1964 | მარია ბუენო | 1978 | კრის ევერტი | 1992 | მონიკა სელეში |
| 1965 | მარგარეტ სმიტ-კორტი | 1979 | ტრეისი ოსტინი | 1993 | შტეფი გრაფი |
| 1966 | მარია ბუენო | 1980 | კრის ევერტ-ლოიდი | 1994 | არანტა სანჩეს-ვიკარიო |
| 1967 | ბილი ჯინ კინგი | 1981 | ტრეისი ოსტინი | 1995 | შტეფი გრაფი |
| 1968 | ვირჯინია უეიდი | 1982 | კრის ევერტ-ლოიდი | 1996 | შტეფი გრაფი |
| 1969 | მარგარეტ სმიტ-კორტი | 1983 | მარტინა ნავრატილოვა | 1997 | მარტინა ჰინგისი |
| 1970 | მარგარეტ სმიტ-კორტი | 1984 | მარტინა ნავრატილოვა | 1998 | ლინდსი დევენპორტი |
| 1971 | ბილი ჯინ კინგი | 1985 | ჰანა მანდლიკოვა | 1999 | სერენა უილიამსი |
| 1972 | ბილი ჯინ კინგი | 1986 | მარტინა ნავრატილოვა | 2000 | ვინუს უილიამსი |
| 1973 | მარგარეტ სმიტ-კორტი | 1987 | მარტინა ნავრატილოვა | 2001 | ვინუს უილიამსი |
| | | | | 2002 | სერენა უილიამსი |

## ქალების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

- კლაისტერსი (1) — ლიუ
- გრანვილი — კარგილი
- მანდულა — ბლეკი
- პენეტა — კუზნეცოვა (27)
- შონესი (17) — სპრემი
- მორარიუ — მატევჟიჩი
- *შერჩეული* — ჰარკლროუდი
- კურხაჟოვა — ზვონარიოვა (13)
- ჰანტუხოვა (9) — ბარტოლი
- ვაკულენკო — რიტნერი
- ტანასუგარნი — გრანდე
- ბილიკი — შნიდერი (18)
- კრასნორუცკაია (26) — ბარნა
- ლოგარი — *შერჩეული*
- ალორო — *შერჩეული*
- ვიჯაჯა — მორესმო (5)
- დევენპორტი (3) — კალენსი
- ბედანოვა — კამერინი
- ფერნანდესი — ზინკი
- *შერჩეული* — რეიმონდი (28)
- პეტროვა (19) — *შერჩეული*
- ჰლატკოვა — *შერჩეული*
- შეტი — ჰუსაროვა
- *შერჩეული* — კუტცერი (14)
- მარტინესი (12) — ტეილორი
- მოლიკი — *შერჩეული*
- ონდრაშკოვა — *შერჩეული*
- როეში — სუარესი (24)
- დანილიდუ (25) — კაზანოვა
- ზულუაგა — მორიგამი
- ლიხოვცევა — მაიოლი
- ვენტო-კაბჩი — რუბინი (8)
- კაპრიატი (6) — ვალერო
- ირვინი — სუხა
- შარაპოვა — რუანო პასკუალი
- ლოი — სტივენსონი (31)
- დეში (23) — მარტეკი
- პერი — ფრეზერი
- პერებინისი — მარერო
- *შერჩეული* — დემენტიევა (11)
- სუგიამა (15) — გრანადოსი
- გარსია — რაზანო
- კრეიბასი — პრატი
- *შერჩეული* — ფარინა ელია (20)
- სკიავონე (29) — ფისლოვა
- პარა — კუკალოვა
- პისნიკი — ჰეინისი
- *შერჩეული* — ვ. უილიამსი (4)
- მისკინა (7) — ნაგიოვა
- ფორეცი — სერა ძანეტი
- *შერჩეული* — სანჩეს ლორენცო
- იუნ-იონგი — სერნა (30)
- დოკიჩი (22) — გალიარდი
- პირსი — სრებოტნიკი
- გაბრინი — *შერჩეული*
- ასაგოე — მალეევა (10)
- ბოვინა (16) — ჩერვანოვა
- საფინა — გულიკსონი
- რივზი — ბენეშოვა
- შოლი — პისტოლეზი (21)
- მიქაელიანი (32) — ვაინგარტნერი
- *შერჩეული* — ობატა
- რანდრიანტეფი — ტალაია
- *შერჩეული* — ენენ-არდენი (2)

ბიბლიოთეკა



# პარიზში მოიღრუბლა

## მზე ჩავიდა და ვარსკვლავებიც მიჰყვნენ

**პარიზში** ახლა ისე აღარ ცხელა, როგორც ამ ორიოდ საშინელი კვირის წინ. ბევრი ევროპისთვის არნახული ხვატი როგორც იქნა გაფანტა ოკეანიდან პერიოდულად მონაბერმა მაცოცხლებელმა ბრიზმა, დასიცხულმა ხალხმა ამოისუნთქა და სარკინიგზო ლიანდაგებიც, მგონი, გადაურჩა დადუნვას. სიცხემ სწორედ დროზე გადაიარა, დღეს ხომ პარიზზე აკრული სენ დენის ულამაზეს „სტად ფრანსეზე" მსოფლიოს მე-9 ჩემპიონატი იწყება მძლეოსნობაში. აბა წარმოიდგინეთ ანოებული მზის გულზე მორბენალი მარათონელი! საზოგადოდ, მარათონელები გამძლე ხალხია, მაგრამ 40-გრადუსიანი ჰაერით გაცხელებულ გზაზე მორბენალი კაცი კი არა აქლემი დავარდება.

მსოფლიოს ჩემპიონატი ზუსტად შუადღით, დამახასიათებელი ზარზეიმით გაიხსნება, მაგრამ დაწყებით კი ამ დილით, გამთენიისას დაიწყო. მედლების ერთ კომპლექტიც გათამაშდა კაცთა შორის 20 კმ სპორტულ სიარულში. კარგად გვესმის მოსიარულეების, გრძელი გზა ჰქონდათ გასავლელი და პარიზის დროით უკვე შვიდის ნახევრიდან შეუდგნენ რეზინის ოვალურ ბილიკს.

როგორი ჩემპიონატი იქნება? რამდენი მსოფლიოს რეკორდი დამყარდება? ტურნირი 8 დღიანია, 31 აგვისტომდე გასტანს და, ცხადია, უინტერესოდ არ ჩაივლის, მაგრამ მოლოდინი არც ისე ცხოველია და მძლეოსნობის სინოპტიკოსები არც რეკორდების წვიმას პროგნოზირებენ. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორები მსოფლიო რეკორდის წილ 160 ათას ევროს გამოდიან. დიდი სპორტსმენები აკლია პარიზს, ბევრი დაბერდა და სარბენი ბილიკიდან გვერდზე მიდგა. ზოგმა ფორმა დაკარგა, ზოგსაც შვილი გაუჩნდა.

პრესტიჟულ სახეობებში ხომ მით უმეტეს არ ჩანან მომავალი რეკორდსმენები. ქალებში მსოფლიოს ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი მერიონ ჯონსი შვილს უვლის — აჰ, რა გოგო დაკარგეს სამძლეოსნო ტურნირების ორგანიზატორებმა და რეკლამის დამკვეთებმა! წინა ჩემპიონატზე მერიონის დამმარცხებელი ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი კი უმერიონო სპრინტში დარჩენილთა შემოსევას ვეღარ აუდის.

არც კაცთა სპრინტშია წყალი დაწმენდილი. წინა სამი ჩემპიონატის 100-მეტროსანი ხელმწიფე მორის გრინი ტრავმებმა დაათსა, 100 მეტრის რეკორდსმენი, მერიონ ჯონსის ცქვიტი ქმარი ტიმ მონტგომერი კი, ვინ იცის, რამ. მორის გრინი მაინც იმედიანადაა, ამბობს მთელი სეზონი ძალებს ვიზოგავდი მსოფლიო ჩემპიონატის ერთი 100-მეტრიანი მონაკვეთისთვისო.

...თანაც, ყველა „სასიკეთო" გარემოებას ისიც დაერთო, რომ სპორტიდან საერთოდ წავიდა ლეგენდარული სამხტომელი ჯონათან ედვარდსი...

ამ საერთოპარიზულ პესიმიზმში მაინც კიდევ მოიძებნა ხმამაღალი სიტყვის მთქმელი კაცი. ბრიტანელი სპრინტერი დუეინ ჩამბერსი, არც მეტი არც ნაკლები, სპრინტში ახალი ეპოქის დაწყებას გვპირდება — „ეს არ მოხდება — წამოისროლა ჩამბერსმა, როცა მორის გრინმა თქვა, იქნებ ზედიზედ მეოთხედ მოვიგო მსოფლიო 100 მეტრიო — 100 მეტრს მე მოვიგებ. დაიხსომეთ, კაცთა სპრინტის ისტორიაში მე ახალ თავს ჩავწერ."

დუეინ ჩამბერსი ჯერჯერობით მხოლოდ ბაქიაობს. კი ბატონო, ის ევროპის ჩემპიონია და ამ ტიტულს არავინართმევს, მაგრამ მოდი, ჯერ ამერიკელები დაამარცხოს დიდ ტურნირზე და მერე იბაგუნოს მუშტი გულბოყვზე. წლეულს მან ნახევრად კოჭლ მორის გრინსაც ვერ აჯობა ჩამბერსის საუკეთესო დრო 10.03 წამი მთელი 0,1 წამით ჩამორჩება გრინის წლევანდელ რეკორდს.

ახალი მიწების დაპყრობა სურს მაღრიბელ ჰიშამ ელ გერუჯს. 1500 მეტრის გვირგვინიანი მონარქი მშობლიური სახარის უდაბნოს იქითა ხალხის სახეობაშიც აპირებს ფეხის ჩადგმას. არაბი კენიელ და ეთიოპიელ 5000 მეტრის შავ-შავ და გამხდარ ოსტატებსაც გაეჯიბრება. იქნებ ვერ მოიგოს, მაგრამ გაერთობა მაინც. აბა 1500 მეტრზე ტოლი არა ჰყავს.

**ირაკლი ფირაშვილი**



მორის გრინი: მე კიდევ გაგაკვირვებთ!

| კაცები | მსოფლიოს ჩემპიონები | | რეკორდსმენები | |
|---|---|---|---|---|
| 100 მ | მორის გრინი (აშშ) | 9.82 წმ | ტიმ მონტგომერი (აშშ) | 9.78 წმ |
| 200 მ | კონსტანტინოს კენტერისი (საბერძ.) | 20.04 წმ | მაიკლ ჯონსონი (აშშ) | 19.79 წმ |
| 400 მ | ავარდ მონ კური (ბაჰრეინი) | 44.64 წმ | მაიკლ ჯონსონი (აშშ) | 43.18 წმ |
| 800 მ | ანდრე გუჩერი (შვეიცარია) | 1 წთ 43.70 წმ | უილსონ კიპკეტერი (დანია) | 1 წთ 41.11 წმ |
| 1 500 მ | ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) | 3 წთ 30.68 წმ | ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) | 3 წთ 26 წმ |
| 5 000 მ | რიჩარდ ლიმო (კენია) | 13 წთ 0.77 წმ | ჰაილე გებრსელასიე (ეთიოპია) | 12 წთ 39.36 წმ |
| 10 000 მ | ჩარლზ კამატი (კენია) | 27 წთ 53.25 წმ | ჰაილე გებრსელასიე (ეთიოპია) | 26 წთ 22.75 წმ |
| მარათონი | გეზაჰენე აბერა (ეთიოპია) | 2 სთ 12 წთ 42 წმ | ხალიდ ხანუჩი (აშშ) | 2 სთ 5 წთ 38 წმ |
| 3 000 მ წინაღობებით | რუბენ კოსგეი (კენია) | 8 წთ 15.16 წმ | იბრაჰიმ ბულამი (მაროკო) | 7 წთ 53.17 წმ |
| 110 მ თარჯრბენი | ალენ ჯონსონი (აშშ) | 13.04 წმ | კოლინ ჯეკსონი (აშშ) | 12.91 წმ |
| 400 მ თარჯრბენი | ფელიქს სანჩესი (დომინიკა) | 47.49 წმ | კევინ იანგი (აშშ) | 46.78 წმ |
| სიმაღლეზე ხტომა | მარტინ ბასი (გერმანია) | 2.36 სმ | ხავიერ სოტომაიორი (კუბა) | 2.45 მ |
| ჭოკით ხტომა | დიმიტრი მარკოვი (ავსტრალია) | 6.05 მ | სერგეი ბუბკა (უკრაინა) | 6.14 მ |
| სიგრძეზე ხტომა | ივან პედროსო (კუბა) | 8.40 მ | მაიკ პაუელი (აშშ) | 8.95 მ |
| სამხტომი | ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) | 17.92 მ | ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) | 18.29 მ |
| ბირთვის კვრა | ჯონ გოდინა (აშშ) | 21.87 მ | რენდი ბარნსი (აშშ) | 23.12 მ |
| ბადროს ტყორცნა | ლარს რიდელი (გერმანია) | 69.72 მ | იურგენ შულცი (გდრ) | 74.08 მ |
| უროს ტყორცნა | შიმონ ჟოლკოვსკი (პოლონეთი) | 83.38 მ | იური სედიხი (სსრკ) | 86.74 მ |
| შუბის ტყორცნა | იან ჟელეზნი (ჩეხეთი) | 92.80 მ | იან ჟელეზნი (ჩეხეთი) | 98.48 მ |
| 20 კმ სიარული | რომან რასკაზოვი (რუსეთი) | 1 სთ 20 წთ 31 წმ | ბერნარდო სეგურა (მექსიკა) | 1სთ 17წთ 25წმ |
| 50 კმ სიარული | რობერტ კორჟენოვსკი (პოლონეთი) | 3 სთ 42 წთ 8 წმ | ტიერი ტუტენი (საფრანგეთი) | 3სთ 40წთ 57წმ |
| 4X100 მ | აშშ | 37.96 წმ | აშშ | 37.40 წმ |
| 4X400 მ | აშშ | 2 წთ 57.54 წმ | აშშ | 2 წთ 54.20 წმ |
| ათჭიდი | ტომაშ დვორაკი (ჩეხეთი) | 8902 | რომან შებრლე (ჩეხეთი) | 9026 |

| ქალები | მსოფლიოს ჩემპიონები | | რეკორდსმენები | |
|---|---|---|---|---|
| 100 მ | ჟანა პინტუსევიჩი (უკრაინა) | 10.82 წმ | ფლორენს გრიფიტი (აშშ) | 10.49 წმ |
| 200 მ | მერიონ ჯონსი (აშშ) | 22.39 წმ | ფლორენს გრიფიტი (აშშ) | 21.34 წმ |
| 400 მ | ემი მბაკე თიამი (სუდანი) | 49.86 წმ | მარიტა კოხი (გდრ) | 47.60 წმ |
| 800 მ | მარია მუტოლა (მოზამბიკი) | 1 წთ 57.17 წმ | იარმილა კრატოხვილოვა (ჩეხოსლოვაკია) | 1 წთ 53.28 წმ |
| 1 500 მ | გაბრიელა საბო (რუმინეთი) | 4 წთ 0.57 წმ | ქუი უნხია (ჩინეთი) | 3 წთ 50. 46 წმ |
| 5 000 მ | ოლგა ეგოროვა (რუსეთი) | 15 წთ 3.39 წმ | იანგ ბო (ჩინეთი) | 14 წთ 28.09 წმ |
| 10 000 მ | დერარტუ ტულუ (ეთიოპია) | 31 წთ 48.81 წმ | უანგ იუნხია (ჩინეთი) | 29 წთ 31.78 წმ |
| მარათონი | ლიდია სიმონი (რუმინეთი) | 2 სთ 26 წთ 1 წმ | პოლა რედკლიფი (ბრიტანეთი) | 2 სთ 15 წთ 25 წმ |
| 100 მ თარჯრბენი | ანჯანეტ კირკლენდი (აშშ) | 12.42 წმ | იორდანკა დონკოვა (ბულგარეთი) | 12. 21 წმ |
| 400 მ თარჯრბენი | ნეჟა ბიდუანე (მაროკო) | 53.34 წმ | იულია პეჩონკინა (რუსეთი) | 52.34 წმ |
| სიმაღლეზე ხტომა | ჰესტრი კლოეტე (ს. აფრიკა) | 2.00 მ | სტეპკა კოსტადინოვა (ბულგარეთი) | 2.09 მ |
| ჭოკით ხტომა | სტეისი დრაგილა (აშშ) | 4.75 მ | ელენა ისინბაევა (რუსეთი) | 4.82 მ |
| სიგრძეზე ხტომა | ფიონა მეი (იტალია) | 7.02 მ | გალინა ჩისტოიაკოვა (სსრკ) | 7.52 მ |
| სამხტომი | ტატიანა ლებედევა (რუსეთი) | 15.25 მ | ინესა კრავეცი (უკრაინა) | 15.50 მ |
| ბირთვის კვრა | იანინა კოროლჩიკი (ბელარუსი) | 20.61 მ | ნატალია ლისოვსკაია (სსრკ) | 22.63 მ |
| ბადროს ტყორცნა | ნატალია სადოვა (რუსეთი) | 68.57 მ | გაბრიელე რეინში (გდრ) | 76.80 მ |
| უროს ტყორცნა | იფსი მორენო (კუბა) | 70.65 მ | მიხაელა მელინტე (რუმინეთი) | 76.07 მ |
| შუბის ტყორცნა | ოსლედის მენენდესი (კუბა) | 69.53 მ | ოსლედის მენენდესი (კუბა) | 71.54 მ |
| 20 კმ სიარული | ოლიმპიადა ივანოვა (რუსეთი) | 1 სთ 27 წთ 48 წმ | ოლიმპიადა ივანოვა (რუსეთი) | 1 სთ 24 წთ 50 წმ |
| 4X100 მ | აშშ | 41.71 წმ | გდრ | 41. 34 წმ |
| 4X400 მ | იამაიკა | 3 წთ 20.65 წმ | სსრკ | 3 წთ 15.17 წმ |
| შვიდჭიდი | ელენა პროხოროვა (რუსეთი) | 6694 | ჯეკი ჯოინერ კერსი (აშშ) | 7291 |



მერიონ ჯონსი დეკრეტშია

# შფულობამ მრთხმლაც დაგვჩეხა

**თბილისის ნაკრები**, 25 აგვისტოს ევროპის რეგიონთა თასზე პრალაში იქაურებთან რომ უნდა ეთამაშა, უფულობის გამო ჩეხეთში ვერ მიდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ლოკომოტივის“, „აკადემიის“, „ლელოს“, „ყოჩების“, „უნივერსიტეტის“ ბაზაზე შექმნილ გუნდს წაგება ჩაეთვლება და მომდევნო წრეში პრალელები უბრძოლველად გავლენ, რასაც ალბათ თბილისელებთან თამაშის შემთხვევაში ვერ მოახერხებდნენ.

დედაქალაქის ნაკრები საქართველოს რაგბის კავშირს უნდა დაეფინანსებინა, მაგრამ შეჭირვებულმა კავშირმა თბილისელების გასამგზავრებელი ფული ვერანაირად ვერ მოიძია. შეგახსენებთ, რომ რეგიონთა თასზე ერთი ქართული გუნდიც, აჭარის ნაკრებიც მონაწილეობს. აჭარელებმა უკვე გაიარეს პირველი წრე — წინა კვირას ხარკოველებს მოუგეს.

**ბაჩო სვანიძე**



*მოედანზე რომ გავდივარ, მგელი ვარ. მინდა, მეტოქეს ვეცე და შევჭამო — ეს კანიბალური ფრაზა ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს, სკანდალურ ლოურენს დალალიოს ეკუთვნის. ფესვებით იტალიელმა დალალიომ წინა სარაგბო სეზონი მეტოქის ძვალ-რბილის გაერთიანებაში კი არა, ტრავმატოლოგებთან და ოფთალმოლოგებთან სირბილში გაატარა. ნაახალწლევს კისრის მალა დაიზიანა და მხედველობა დაუქვეითდა. სხვათა შორის, ასეთივე ტრავმა ლოურენსმა 2001 წელსაც მიიღო და ამის გამო ბრიტანელი „ლომების“ ავსტრალიური ტურნეც გაუცდა*



# დალალიომ დალიოს

## ბულდოზერის სიმღერა: გაგსრეს, აბა, რას გიზამ

**სხვა შემთხვევაში** და სხვა კაცი ასეთ დროს საკუთარი ძვლების სიმრთელეზე იზრუნებდა, მაგრამ არა დალალიო. მან დაზიანებული მალა მოირჩინა და მინუსიანი თუ პლუსიანი ლინზები ახლოსაც არ გაიკარა.

„ახლახან გავიარე სამედიცინო შემოწმება და ყველაფერი რიგზეა. მალა დიდ დატვირთვებს გაუძლებს, თვალი კი არწივისა მაქვს“ — ეს დალალიომ „როიტერს“ უთხრა და დასძინა — დიდი იმედი მაქვს, შემოდგომაზე ჩემიანებს მსოფლიოს თასზე მივეხმარებიო.

დალალიო რომ მსოფლიოს თასზე ითამაშებს, ეს ინგლისელთა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმაც დაადასტურა: „ლოურენსი ხარივით ძლიერია, მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. მე კარგად ვიცი მისი ჯანმრთელობის ამბავი და გადავწყვიტე დალალიო მსოფლიოს თასზე წავიყვანო, ცხადია, თუ მანამდე მისი ჯანმრთელობა არ გაუარესდება.“

დალალიოს ჯანმრთელობის გაუარესებისა არაფერი ეტყობა. პირიქით, მორკინალთა სპეციალურ ტრენაჟორს თავის ზორბა მხარბეჭის წნეხს არ აკლებს. ცნობისთვის, დალალიო შერკინების შემკვრელია (8 ნომერი) და ამ ამპლუის მოთამაშეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. დალალიო ორივეგან მაგარია, განსაკუთრებით კი დაცვაში, როცა მისკენ დაძრულ მეტოქეს ადგილზე აქვავებს ან კონტაქტისას 2-3 მეტრით უკან ისვრის. „ბუნებით ვარ ისეთი, რომ შეჯახებას თავს ვერ ავარიდებ. პირიქით, ეს ჩემი სტიქიაა“ — ამბობს დალალიო და იმ ეპიზოდს იხსენებს, როცა ერთ-ერთ ირლანდიელ მორაგბეს ისე დაეჯახა, რომ საბრალოს სამი ნეკნი გაუტეხა.

ერთი სიტყვით, თავდაუზოგავ ვარჯიშს და თამაშს დალალიოს ვერ დაუწუნებ, მაგრამ რა ვუყოთ ალკოჰოლის ზომაზე მეტად სიყვარულს. კერძოდ, დალალიოს შეუძლია 24 საათი ივარჯიშოს, მერე კი ისე გაილეშოს, რომ ერთი კვირა ბალიშიდან თავი ვერ ასწიოს. ამაზე ლოურენსი ამბობს: „როდესაც მსოფლიოს თასზეა ლაპარაკი, ყველაფერი გვერდზე უნდა გადადო. არ ვმალავ, ვისკი და ქაფქაფა ლუდი ძალიან მიყვარს, მაგრამ იმდენი ნებისყოფა მაქვს, რომ ორი-სამი თვე მოვითმინო და მერე მსოფლიოს ჩემპიონის რანგში გამოვთვრე.“

როგორც ხედავთ, დალალიო დარწმუნებულია, რომ ინგლისი მსოფლიოს თასს მოიგებს. მეტიც იქვე იმასაც დასძენს, ეშმაკმაც წაგვიღოს, თუ ავსტრალიიდან უებ ელისის თასით ვერ დავბრუნდითო.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ვისკით და ლუდით გამომტყვრალ დალალიოს ბევრი შარი შეხვედრია. ერთხელ პაბში გაილეშა და ლონდონის ერთ ცუდი რეპუტაციის მქონე უბანში სუტენიორი და ოთხი მეძავი კინაღამ მიასიკვდილა.

ყველაზე დიდ შარში კი დალალიო 1999 წელს გაეხვა, როცა სკოტლანდიარდელებმა მისი ბინის ჩხრეკისას 10 ათასი გირვანქის ღირებულების ნარკოტიკი (ჰეროინი და ჰაშიში) აღმოაჩინეს. ეს ფაქტი „ბარიგობას“ ქჩავდა და ლოურენსი 6 თვით აყურყუტეს ვირის აბანოში. მერე პირობითი სასჯელი, თავდებით გამოშვება და დალალიომაც ლონდონის სუფთა ჰაერი კვლავ ჩაყლაპა.

თავად „ბულდოზერი“ დალალიო იმ ამბავს არცკი იხსენებს, მხოლოდ ერთს ამბობს: „ყველაფერი ცუდი დავივიწყე, თუმც შეცდომებზე ბევრი ვისწავლე. ახლა მინდა, მსოფლიოს თასი მოვიგო და ორსამ წელიწადში მშვიდ, ოჯახურ ცხოვრებას მოვეკიდო.“

**ბაჩო სვანიძე**



როგორც ყველა დიდი მორაგბე, დალალიოც ავსტრალიურ ლუდებზე ოცნებობს

**ტესტმატჩი**

22 აგვისტო. ლანსი

**საფრანგეთი 56:8 რუმინეთი**



# F1

**XIII ეტაპი** უნგრეთის დიდი პრიზი

## ჰუნგარორინგი

*ბუდაპეშტი, 24 აგვისტო*




**ტრასის სიგრძე** ---------------------------------------- **4.384 კმ**
**რბოლის დისტანცია** ---------------------------- **70 წრე — 306.880 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**: 1 ბარიკელო (ფერარი); 2 მ.შუმახერი (ფერარი); 3 რ.შუმახერი (უილიამსი); 4 რაიკონენი (მაკლარენი); 5 კულჰარდი (მაკლარენი); 6 ფიზიკელა (ჯორდანი)

**წრის რეკორდი**: 2002 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:16,207 (187,8 კმ/სთ)

**„ჰუნგარორინგი“** მონტე კარლოს შემდეგ ყველაზე ნელი ტრასაა, მაგრამ მონტე კარლოსგან განსხვავებით პილოტებში ნაკლებ სიმპათიას აღძრავს სწორედ თავისი ნელი მოსახვევების გამო. აქ ძნელია და იშვიათია გასწრება ამიტომაც კვალიფიკაციას თითქმის იმხელავე მნიშვნელობა ენიჭება, რამხელაც რბოლას. ამის გამო იყო, რომ რალფ შუმახერმა თავი მოიკლა, როცა წინა ეტაპზე ავარიაში ინიციატორად მიიჩნიეს და უნგრეთში საკვალიფიკაციო შედეგზე ათი საფეხურით უკან დაწყებით დასაჯეს. უმცროსი შუმის აპელაციამ შედეგი გამოიღო, სასჯელი 50 ათას დოლარიანი ჯარიმით შეუცვალეს და „უილიამსის“ გერმანელი პილოტიც რბოლას იმ ადგილიდან დაიწყებს, რომელსაც დღეს კვალიფიკაციაზე მოიპოვებს.

აპელაციის მოგების შემდეგ რალფისთვის კვალიფიკაციას აზრი დაუბრუნდა და მანაც პარასკევის ვარჯიშზე მთელი მონდომებით გარეკა. მონდომებამ შედეგი გამოიღო — რალფი მხოლოდ რენოელ იარნო ტრულის ჩამორჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ კვალიფიკაციაზე ყველა უშუალო კონკურენტის შემდეგ გავა და მათ შედეგებს გააკონტროლებს. ესეც საქმეა.

ვარჯიშზე მეოთხე დრო აჩვენა „მაკლარენის“ დევიდ კულჰარდმა — ისიც ხალისით ვარჯიშობდა, რაკი თავის საჯინიბოსთან კონტრაქტის განახლებას მიაღწია. არადა ხმები დადიოდა „მაკლარენის“ შეფი რონ დენისი მობერებულ კულჰარდს გაუშვებს და „უილიამსით“ უკმაყოფილო მონტოიას მიიწვევსო.



დევიდ კულჰარდმა „მაკლარენთან“ სასურველ კონტრაქტს მიაღწია

REUTERS

## უნგრული არქივი

| მრბოლი | ქვეყანა | მოგება | პოდიუმი | ქულა | პოული | რბოლა |
|---|---|---|---|---|---|---|
| აირტონ სენა | ბრაზილია | 3 | 7 | 53 | 3 | 8 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | 3 | 5 | 42 | 5 | 10 |
| დეიმონ ჰილი | ბრიტანეთი | 2 | 5 | 42 | 1 | 8 |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 2 | 2 | 29 | 2 | 9 |
| ჟაკ ვილნევი | კანადა | 2 | 3 | 24 | — | 7 |
| ნელსონ პიკე | ბრაზილია | 2 | 3 | 23 | — | 6 |
| ნაიჯელ მენსელი | ბრიტანეთი | 1 | 4 | 25 | 1 | 7 |
| რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | 1 | 2 | 22 | 1 | 10 |
| ტიერი ბუტსენი | ბელგია | 1 | 3 | 20 | 1 | 8 |
| დევიდ კულჰარდი | ბრიტანეთი | — | 5 | 28 | — | 9 |
| რალფ შუმახერი | გერმანია | — | 1 | 11 | — | 6 |
| ჰაინც-ჰარ. ფრენცენი | გერმანია | — | — | 8 | — | 9 |
| იოს ფერსტაპენი | ჰოლანდია | — | 1 | 4 | — | 5 |
| ოლივიე პანი | საფრანგეთი | — | — | 4 | — | 8 |
| კიმი რაიკონენი | ფინეთი | — | — | 3 | — | 2 |
| ნიკ ჰაიდფელდი | გერმანია | — | — | 1 | — | 3 |
| ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | — | — | 1 | — | 6 |



REUTERS ბუდაპეშტიდან

# დარტყმა შესვენებისას

პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ორეგონშია და იქაურ კროსვოტერის გოლფ კლუბში კარგი დარტყმა გამოსვლია. ბუში გოლფის სათამაშოდ კი არ ჩაფრენილა ორეგონს, მთელი დილა ვერტმფრენით ტყეებში ავარდნილი ხანძრების კერებს ათვალიერებდა. გოლფი მხოლოდ ერთსაათიანი დასვენების საშუალებაა.



REUTERS ორეგონიდან

# შეხვედრა

კვირას ბუდაპეშტის ახლოს უნგრეთის დიდი საფორმულე პრიზი გათამაშდება. ყველანი უკვე იქ არიან, მათ შორის კი, ცხადია, ფერარელი ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო, რომელსაც იმის დროც გამოუნახავს, რომ პატარა ხეიბარს, პაბლო ალვაროს შეხვედროდა. პაბლო საგანგებოდ ჩამოსულა ვენიდან ამ რბოლის სანახავად.



REUTERS პარიზიდან

# გამოაბიჯეს

ევროპის ბრიტი ჩემპიონი დუეინ ჩამბერსი (მარცხნივ) და ოლიმპიური და სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, ამერიკელი მორის გრინი თავიანთი სარბენი ფეხსაცმელებით ხელდამშვენებულნი არღვევენ ქაღალდის ტიხარს და სინათლეზე გამოდიან. ასე იწყება პრესკონფერენცია, რომელიც მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნას ეძღვნება პარიზში. სპრინტის მეფეებზე უკეთესი კი აბა ვინ გამოჩნდება?

# ტიტოს ღლაბუცი

პუერტო რიკოს დედაქალაქ სანხუანში ათენის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირია კალათბურთში. შესვენებებზე ბევრი რამ სასეირო ხდება რობერტო კლემენტეს სახელობის კოლიზეუმში. მაგალითად, თავად პუერტორიკოელთა და კანადელთა მატჩის შესვენებაზე მოედანზე გამოსულა დიდი კუბელი მოკრივე ფელიქს „ტიტო“ ტრინიდადი, გამოსულა და სალაღბუცო კრივობით ყველა დაუმარცხებია.



REUTERS სანხუანიდან




REUTERS სან დიეგოდან

# ბანაკი კარგ ხასიათზეა

21 სექტემბერს ამერიკაში ფეხბურთში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიხსნება. მსოფლიო ჩემპიონი ამერიკის ნაკრები უკვე შესდგომია ტიტულის დასაცავი დიდი შეჯიბრისთვის მზადებას სან დიეგოში. მსოფლიოს საუკეთესო მობურთალთა ბანაკში ხალისი იგრძნობა. შეხედეთ დანიელ სლეტონს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი ომარ მიქრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჩიანი, გიორგი კაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ხვედა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge